2010 წელი, 25 ნოემბერი – 1 დეკემბერი

ფასი 90 თეთრი

ახალი ამბავი

№36 (510) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



1927 წლის 26 ნოემბერს, ქალაქ თბილისში დაიბადა ცნობილი ლიტერატორი, მწერალი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატი **თამაზ ჩხენკელი**.

თაობაში ინტელექტუალურობით გამორჩეული, ავტორი არაერთი ცნობილი ლიტერატურული წერილის და ქართული მწერლობის კრიტიკაზე შექმნილი მონოგრაფიისა. წლების განმავლობაში ქართული ანბანის კვლევაზე მუშაობდა. ნათარგმნი აქვს ინდური და ჩინური პოეზიის ნიმუშები. ერთ-ერთ საუკეთესო თარგმანად რაბინდარათ თაგორის „გიტანჯალი“ მიიჩნევა.

„თამაზ ჩხენკელი არა მარტო ფრაზის ოსტატია, არამედ ანალიტიკოსიც, არა მარტო ირაციონალურ საწყისს ეყრდნობა, არამედ ამ საწყისის გონებრივ, ცნობიერ ნაწილად გარდასახვას ცდილობს. თამაზ ჩხენკელმა გარკვეული კულტურული, ენობრივი, თემატური ტრადიციაც კი აითვისა და მოარგო თავის სათქმელს. იქნებ ეს ტრადიცია ერთგვარად სათქმელსაც ქმნის შინაარსობრივი თვალსაზრისით, მაგრამ პიროვნულ-ინდივიდუალური ნიშნები, კონკრეტული გარემო, სახლი, ხელი, მეგობრები მაინც განმსაზღვრელია“ – წერდა ცოტა ხნის წინ მის შესახებ მწერალი ანდრო ბუაჩიძე.

თამაზ ჩხენკელი 2010 წლის 9 ნოემბერს, 83 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მრწამსი

„ჩემს ცხოვრებისეულ პრინციპს განასახიერებს დევიზი, რომელიც „შევარდნელთა“ მისალმებას წარმოადგენდა: „ვგუშაგობ ერს“ – „მარად“ (ბიძაჩემი – ცნობილი ექიმი, მთამსვლელი და მწიგნობარი – სოსო ასლანიშვილი ჟურნალ „შევარდენის“ რედაქტორი იყო). რაც შეეხება კრედოს, ის გამოხატულია ინდოელი, რუსი, ევროპელი და ამერიკელი მოაზროვნეების (ანთროპოლოგების, ფიზიკოსების, თეოლოგების, მწერლების) იმ წერილებში, რომლებსაც მე ვთარგმნიდი და ვაქვეყნებდი ჩვენს ლიტერატურულ და მეცნიერულ პერიოდიკაში 45 წლის მანძილზე და რომლის ერთ წიგნად გამოცემა დღემდე ვერ მოხერხდა.
ეს წერილები მეოცე საუკუნის მსოფლიოს საჭირბოროტო საკითხებს ეხება“.

გვერდი 6

მინისტრის ანგარიში განხორციელებულ სიახლეებზე, მიღწეულ შედეგებსა და მომავალ ინიციატივებზე

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის ინიციატივას – ყველა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელმა გაწეულ სამუშაოებსა და მომავალ გეგმებზე ანგარიში მოსახლეობას წარუდგინოს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი გამოეხმაურა და 24 ნოემბერს სამინისტროს მიერ განხორციელებული სიახლეები, მიღწეული შედეგები და მომავალი ინიციატივები თბილისის სკოლების დირექტორებსა და პედაგოგებს გააცნო.

გვერდი 2

მანდატურის სამსახურის პირველი ნაბიჯების შედეგები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ს.ს.ი.პ.-ის „სკოლის მანდატურის სამსახური“ მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდა. ორდღიან სემინარში, რომელიც ყვარლის ტურისტულ კომპლექსში გაიმართა, ტელერადიო კომპანიებისა და რამდენიმე გეჭდვითი მედიის 20-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.

სკოლის მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებმა საჯარო სკოლებში მანდატურთა საქმიანობაზე და მათ ძირითად უფლება-მოვალეობებზე ჟურნალისტებს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს.

შეხვედრაზე ხაზგასმით ითქვა იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა უსაფრთხო სკოლის კონცეფციის ფარგლებში, მანდატურის სამსახურის შემოღების შემდეგ, რა ტიპის დარღვევები გამოიკვეთა ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ჩატარებული კვლევების შემდეგ რა ტიპის დარღვევები აღმოიფხვრა – პრაქტიკულად მოისპო სკოლებში თამბაქოს მოხმარების შემთხვევები, შემცირდა მოსწავლეთა დაგვიანებისა და სკოლიდან გაპარვის ფაქტები, ასევე აღმოიფხვრა მოსწავლეთა შორის დაპირისპირებისა და სკოლებში სასკოლო ქონების დაზიანების ფაქტები.

სკოლის მანდატურის სამსახურის ხელმძღვანელმა, **ზვიად ხიდაშელმა** ჟურნალისტების მიერ დასმულ ყველა კითხვას უპასუხა, სემინარის მონაწილეებს განემარტათ, რატომ შეიქმნა სკოლაში მანდატურის სამსახური და რა არის ამის მთავარი მიზანი, რა მომზადება გაიარეს მანდატურებმა საჯარო სკოლებში შესვლამდე და რა შედეგები მივიღეთ სულ რამდენიმე თვის განმავლობაში ამ სამსახურის ამუშავების შემდეგ:

■ გეთანხმებით იმაში, რომ 20 წლის ადამიანი ძალიან ახალგაზრდად შეიძლება მოგეჩვენოთ ამ საქმისთვის, მაგრამ პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ეს ასაკი აბსოლუტურად აკმაყოფილებს მანდატურის მოთხოვნებს, გარკვეულ შემთხვევებში, უკეთესიც არის. მანდატურის შერჩევისას პოლიციის აკადემიაში ხდება უნარ-ჩვევებში ტესტირება, შემდეგ გასაუბრება, რომელსაც ესწრება სამი კომპეტენტური ადამიანი – განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, პოლიციის აკადემიიდან და ერთიც ფსიქოლოგი, რომლებიც აყალიბებენ ადამიანის პორტრეტს, თუ როგორ არის ის ფსიქოლოგიურად მზად გახდეს მანდატური. გარდა ამისა, შერჩეული კადრები გადიან მოსამზადებელ კურსს უშუალოდ აკადემიაში, რომელიც დაკავშირებულია სკოლასთან, იქნება ეს ადმინისტრაციული სამართლიდან თუ სისხლის სამართლის კუთხით, რაც მთავარია, დიდი დოზით ბავშვის ფსიქოლოგიაში.

■ მანდატურის სამსახური პირველ ნაბიჯებს დგამს და ძალიან ვფრთხილობთ, რომ შეცდომები არ დავუშვათ, ამიტომ ყოველდღიური კავშირ-შეხვედრები გვაქვს მანდატურებთან, ყოველდღიურად ვსაუბრობთ იმაზე, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული ბავშვის უფლებები. რაც მთავარია, მშობელი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ სკოლაში ბავშვს მართლაც უსაფრთხო გარემო ექნება.

გვერდი 3

ინფორმაცია

„დიოგენეს“ კონკურსი დუვინწყარი მოგზაურობების თანხლებით

გვერდი 4

ეროვნული გამოცდები

რამდენიმე დამაფიქრებელი ტენდენცია

გვერდი 5-6

კულტურული მემკვიდრეობა

განახლებული ქაშუეთი 100 წლისაა

გვერდი 7

იუბილე

აკაკი წერეთელი იაკობ გოგებაშვილი - 170 -

გვერდი 8

საგანმანათლებლო კერა

იყალთოს აკადემია

გვერდი 9

მინისტრის ანგარიში განხორციელებულ სიახლეებზე, მიღწეულ შედეგებსა და მომავალ ინიციატივებზე

პირველი გვერდიდან

დიმიტრი შაშკინი: *„ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით სამინისტროს მიერ არაერთი სიახლე დაინერგა და წარმატებით ხორციელდება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის დავალებით ჩვენ ვიწყებთ ანგარიშის ჩაბარებას საზოგადოებისთვის, თუ რა გაკეთდა 2010 სასწავლო წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და რა გეგმები გვაქვს 2011 სასწავლო წლისთვის. 2010 წლის მთავარი ამოცანა იყო დაგვებრუნებინა ბავშვები სკოლისთვის. ჩვენ ეს ამოცანა შევასრულეთ. ჩვენი შეხვედრიდან, რომელიც 2010 წლის იანვარში შედგა, ერთი წელი გავიდა, ერთი წლის შემდეგ კი ერთად შეგვიძლია ჩავაბაროთ ანგარიში საზოგადოებას – რას მივაღწიეთ ამ ერთი წლის განმავლობაში და რას ვაპირებთ მომავალში. 2011 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა საჯარო სკოლებში განათლების დონის ხარისხის ამაღლებაა. მზად გვაქვს განათლების სისტემის განვითარების სტრატეგია 2011-2115 წლებში, რომელიც ყველა დირექტორს და პედაგოგს გავუგზავნეთ, რათა დროულად გაეცნონ და იზრუნონ მომავალში სიახლეების დასანერგად. სტრატეგიის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ დირექტორებიც და პედაგოგებიც. გამოქვეყნდა მომავალი წლის განათლების სისტემის განვითარების სტრატეგია, ანუ ჩვენ ძალიან კარგად გვესმის სად მივდივართ და რას მივიღებთ ხუთი წლის განმავლობაში.*

2010 წელი, ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი წელია – მოვაგვარეთ ბევრი პრობლემა, რომლებიც პრინციპში წლების განმავლობაში გადაულახავი იყო. ძალიან მძიმე კვლევა გამოქვეყნდა 2009 წლის დეკემბერში, რომლის მიხედვით, სისტემაში კაპიტალური ცვლილებები რომ არ განხორციელებულიყო სკოლაში 2012 წელს მხოლოდ პირველი საფეხურის კლასები დაგვრჩებოდა, ხოლო II- III საფეხურის ნაცვლად ჩვენ გვექნებოდა რეპეტიტორების სკოლა, ბავშვები ისწავლიდნენ მხოლოდ სამ საგანს, რომლითაც ისინი უმაღლეს სასწავლებლებში ჩააბარებდნენ. წელს მოვახერხეთ ისიც, რომ მკვეთრი ხაზი გავავლეთ ზოგადსა და უმაღლეს განათლებას შორის. სკოლა უნივერსიტეტის დანამატი არ არის, სკოლა აძლევს ზოგად განათლებას და არასოდეს არ დავუშვებთ იმ ფუნქციის დაბრუნებას, რომელსაც, სამწუხაროდ, სკოლა წლების განმავლობაში ასრულებდა – უმაღლესი განათლების დანამატი. 2010 წლის იანვარში დავპირდით საზოგადოებას, რომ სკოლას ღირსეულ ფუნქციას დავუბრუნებდით.“ ამისთვის კი შემდეგი გამოწვევები და ინიციატივები შემუშავდა, რომლის განხორციელებაც ეტაპობრივად მიმდინარეობს: სასკოლო ატესტატის მნიშვნელობის გაზრდა; მოსწავლეთა მაღალი დასწრების უზრუნველყოფა; ეროვნული სასწავლო გეგმის დახვეწა და განვითარება; სახელმძღვანელოების ხარისხის გაუმჯობესება; უსაფრთხო სკოლის კონცეფციის განვითარება და დანერგვა; მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლება და სერტიფიცირება; ადგილობრივი თვითმმართველობების აქტიური ჩართვა განათლების პროცესში; ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; სამინისტროს, რესურსცენტრებსა და სკოლებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება; არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის ქართული ენის შესწავლის გაძლიერება; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის განათლების მიღების შესაძლებლობების გაზრდა; ახალი საგნების ინტეგრირება ეროვნულ სასწავლო გეგმაში: სამხედრო-პატრიოტული აღზრდა, საინფორმაციო ტექნოლოგიები; მსოფლიო კულტურა; ფიზიკური აღზრდის გარდაქმნა სპორტის გაკვეთილებად; გრიფირების წესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

სასკოლო გამოცემებისთვის ერთიანი ტექნიკური სტანდარტების დანერგვა (ზომა, წონა, ფორმა, გაყოფადობა, შრიფტი და ა.შ.); მუდმივი მონიტორინგის განხორციელება სკოლებში არაგრიფირებული წიგნების გამოყენებაზე.

პირველად ახალი სასწავლო გეგმა 2011 წლის 15 სექტემბერს დაინერგება I-დან VI კლასებში. 2012 წელს დაინერგება VII-დან XII კლასებში. 200-ზე მეტი ექსპერტი მუშაობდა მის შესაქმნელად. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ მომავალი წლიდან მე-6 კლასში შემოდის ახალი საგანი – მეცნიერება.

მნიშვნელოვანია აგრეთვე მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლება და სერტიფიცირება. მასწავლებელთა ნებაყოფლობითი სერტიფიცირება 2010 წლიდან; სერტიფიცირებული მასწავლებლების ფინანსური წახალისება; მუდმივი პროფესიული განვითარების ტრენინგები (სწავლების მეთოდიკა, პროფესიული უნარ-ჩვევები, საინფორმაციო ტექნოლოგიები); ინტენსიური პროფესიული განვითარების ტრენინგები უცხო ენების მასწავლებლებისათვის; მენტორ-მასწავლებლების ინსტიტუტის გაძლიერება; მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის შექმნა და მიღება; მასწავლებელთა ახალი დამხმარე სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.

მინისტრმა ყურადღება გაამახვილა 2010-2011 წლებისათვის დაგეგმილ სხვა ინიციატივებზეც – სკოლებს შორის კონკურენტული გარემოს შექმნა სკოლების „ბრენდინგის“ მეშვეობით – კურსდამთავრებულთა კლუბის (Alumni) შექმნა; მაპროფილებელი სპეციალური სკოლების შექმნა; მოსწავლეთა თვითმმართველობების შექმნა და პოლიტიკური კულტურის სწავლება; პროექტ „წიგნის მეგობრების“ განხორციელება.

მინისტრმა ისაუბრა, იმ საკითხებზეც, რაც გაკეთდა მასწავლებლებისა და დირექტორების თხოვნით: *„სკოლებში გავაუქმეთ ტრიმესტრული სწავლება. სამის ნაცვლად დარჩა ორი, რომელიც ბევრად კომფორტულია ყველასთვის, შეიცვალა სასკოლო ჟურნალები, შეფასების სისტემა, რომელიც უფრო მარტივი გახდა. სამინისტრომ დაიწყო ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების გაძლიერება. სასკოლო ლაბორატორიების გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია – სასკოლო ლაბორატორიების შექმნა, ლაბორატორიული სამუშაოებისათვის სკოლების შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების უკეთ შესწავლის მიზნით ვირტუალური ლაბორატორიების გამოყენება.“*

მინისტრის გამოსვლაში განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება სახელმძღვანელოების ხარისხის გაუმჯობესებაზე: *„სწორედ ამ მიზნით გამკაცრდა სახელმძღვანელოების გრიფის მინიჭების წესი. სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის სახელმძღვანელოების შესაძენად სახელმწიფომ 8 მილიონი ლარი დახარჯა. არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისათვის ქართული ენის შესწავლის ინტერესის გაღვივებისა და სწავლის პროცესის გაადვილების მიზნით, პირველად შეიქმნა მულტილინგვური სახელმძღვანელოები და მათი 30 პროცენტი ქართული ტექსტით დაიტვირთა.“*

ნინო ჩიქოვანი, 30-ე საჯარო სკოლის დირექტორი: *„კმაყოფილი ვარ დღევანდელი შეხვედრით, ძალიან საინტერესო და მრავალისმომცველი იყო. მინისტრმა ამომწურავად ისაუბრა ყველა საჭირო საკითხზე. ჩვენ მოვისმინეთ ანგარიში, რომელიც 2010 წელს განხორციელდა. სასიამოვნოა, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილ სიახლეებზე ინფორმაციას პირველი პირისგან ვიღებთ, ჩვენც უკეთესად მოვემზადებით 2011 სასწავლო წლისთვის.“*

ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად, სამინისტროს მიერ არაერთი სიახლე დაინერგა და წარმატებით განხორციელდა. ეს ეხება ახალ სასწავლო გეგმას, ახალი საგნების დანერგვას, უცხო ენისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გაძლიერებულად სწავლებას, მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ახალ სისტემას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, სასკოლო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას და სხვ.

ანალოგიურ სამუშაო შეხვედრებს სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე მინისტრი, მინისტრის მოადგილეები და სამინისტროს დაქვემდებარებული სტრუქტურების ხელმძღვანელები სისტემატურად მართავენ. ეს პრაქტიკა მომავალშიც გაგრძელდება, რადგან სამინისტროს მიერ განხორციელებულ სიახლეებზე, მიღწეულ შედეგებსა და მომავალ ინიციატივებზე ანგარიში ყოველთვის იწვევს საზოგადოების დაინტერესებას და ხელს უწყობს მათ ჩართულობას პროცესში.

თამუნა ჭანტურია

მეცნიერები სასკოლო სახელმძღვანელოს განიხილავენ

ეს პირველი შემთხვევა არ არის. ტრადიციულად, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში საგანგებო სხდომებს უძღვნიან ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოების განხილვას. ამჟამად X კლასის ძველი ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს ირგვლივ გაიმართა მსჯელობა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 5 სახელმძღვანელოს მისცა გრიფი. მომხსენებლებმა და თანამომხსენებლებმა, ავტორების თანდასწრებით, ამ სახელმძღვანელოების შესახებ გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები, შენიშვნები და, რიგ შემთხვევებში, რეკომენდაციებიც. ვფიქრობთ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისთვის საინტერესო იქნება მეცნიერთა მოსაზრებები მათ მიერ არჩეული სახელმძღვანელოების შესახებ. ამიტომ მოხსენებათა სრულ ვერსიებს მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ.

ახლა კი, მხოლოდ ამონარიდებს მოგაწვდით თითოეული მომხსენებლის გამოსვლიდან.

მაია ჯალიაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი: თამაზ ვასაძის ავტორობით შექმნილ სახელმძღვანელოში კარგად არის შერჩეული ტექსტები; კითხვები, რომლებიც ამ ტექსტებს ახლავს, მნიშვნელოვანია იმით, რომ ხელს უწყობს ზეპირი მეტყველებისა და წერითი უნარების განვითარებას; მოხმობილია ძალიან საინტერესო პარალელები ქართული მხატვრული ნაწარმოებებისა უცხოურ ლიტერატურასთან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი – წიგნს დართული აქვს ნინო შარაშენიძის მიერ შედგენილი და დამუშავებული საკითხები საერთო სათაურით „ენის სამყაროში“, სადაც განხილულია ლიტმცოდნეობითი საკითხები და პრაქტიკული სამუშაოები, მოხმობილი სავარჯიშოები მოსწავლეებს გაახსენებს წინა წლებში შესწავლილ გრამატიკულ მასალას.

ნანა მრევლიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორი, ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი: მანანა გიგინეიშვილი, ვახტანგ როდონაია და ლაურა გრიგალაშვილი კვალიფიციური ავტორები არიან. მათ წიგნებს კარგად იცნობენ არა მარტო სამეცნიერო წრეები, მათი სახელმძღვანელოები ძალზე პოპულარულია საქართველოს სკოლებში. გამონაკლისი არც X კლასის ძველი ქართული ლიტერატურაა – სწორად ორგანიზებული სახელმძღვანელო კარგად ადაპტირებული ტექსტებით, კრიტიკული აპარატით (იგულისხმება როგორც ლექსიკური ერთეულების განმარტება, ისე კითხვარების შედგენა). ავტორებმა სისრულეში მოიყვანეს საკუთარი პრინციპული გადაწყვეტილება, ძველი ქართული ლიტერატურის X კლასში შესწავლის შესახებ და წარმატებითაც – აქ სრულად არის წარმოდგენილი ძველი მწერლობის ყველა მნიშვნელოვანი ნიმუში, შუშანიკიდან გურამიშვილამდე.

ქეთი ნინიძე, ქართული ლიტერატურის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი: მე ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ გამოცემული X კლასის სახელმძღვანელო უნდა განვიხილო (ავტორები: თეა ქიტოშვილი, მერი ნებიერიძე, ნათია ნაფეტვარიძე). პირველი, რაც საინტერესოა, სახელმძღვანელო შედგენილია ასაკობრივი მზაობის გათვალისწინებით. სტანდარტით ეს დაშვებულია და წიგნი შედგენილია თემატური პრინციპით. ამ შემთხვევაში კი, სასურველი იქნებოდა ამ თემაზე მსოფლიო ლიტერატურის კლასიკიდანაც მაგალითების მოტანა. „მწერლის სახელოსნოს“ სტრუქტურულობა და კონკრეტიკა აკლია; სასურველი იყო, „აკადემიურ წერილში“ მოცემული ყოფილიყო ნიმუშები, რის მიხედვითაც დაწერდნენ მოსწავლეები სხვადასხვა ტიპის ტექსტებს; მიმაჩნია, რომ ბევრია დეფინიციები. თანამედროვე მეცნიერებაში აპრიორია დამკვიდრებული, რომ მოსწავლე დეფინიციიდან კი არ მიდიოდეს მასალამდე, არამედ პირიქით, მასალიდან დასკვნამდე, დეფინიციამდე. სასურველია, წიგნში დაცული ყოფილიყო ეს პრინციპი.

როცა ასეთ შეხვედრებსა და განხილვებს ვაწყობთ, ვიმედოვნებთ, რომ ავტორები გაითვალისწინებენ კოლეგების შენიშვნებსა და რჩევებს, – ამბობს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართული ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელი **მანანა კვაჭანტირაძე**, – ზოგადად ის შემიძლია ვთქვა, რომ ხუთივე სახელმძღვანელო შედგენილია ახალი სასწავლო გეგმისა და სტანდარტის მიხედვით. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. თუმცა, ვფიქრობ, სახელმძღვანელოს აგების პრინციპზე მსჯელობა უნდა გაგრძელდეს მეთოდისტებისა და ფსიქოლოგების ჩართულობით, რადგან ერთი სახელმძღვანელო ქრონოლოგიური პრინციპით აიგოს და მეორე, მომდევნო – თემატურით, გამართლებულად არ მიმაჩნია. ეს გარკვეულ პრობლემებს ეროვნულ გამოცდებზეც შექმნის. ასე რომ, იმედი მაქვს, აქ ბევრი საგულისხმო რამ ითქმება ჩვენი ავტორებისათვის.

ანა ფირცხალაიშვილი

სემინარი

მანდატურის სამსახურის პირველი ნაბიჯების შედეგები

პირველი გვერდიდან

■ ყველა სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც ყალიბდება ეთიკის კოდექსის მიხედვით. ეთიკის კოდექსი ჩამოყალიბდა მოსწავლისთვის, მასწავლებლისთვის და დირექტორისთვის. ჩამოყალიბდა ასევე, მანდატურის ეთიკის კოდექსიც, მართალია, ეს არ დევს სკოლის შინაგანაწესში, მაგრამ, ზოგადად, ყველა სკოლის შინაგანაწესი ეფუძნება მას.

■ მანდატურს უფლება აქვს გააკონტროლოს მოსწავლის დასწრება, მხოლოდ არა გაკვეთილის მსვლელობისას. ძალიან ბევრი ფაქტი დაფიქსირდა, როცა მასწავლებელი არ წერს არას, მეტიც, მოსწავლეს, რომელსაც არა უწერია, ზოგიერთი მასწავლებელი იმავე დღეს ნიშანსაც უწერს. ანუ ჩვენი სამსახურის წარმომადგენელი ან დასვენების დროს, ან გაკვეთილების დასრულების შემდგომ ამოწმებს ამ ფაქტებს. ეს, პირველ რიგში, მასწავლებლების ინტერესშიც უნდა შედიოდეს, რადგანაც მათ უსაფრთხო გარემოში მიეცეთ გაკვეთილის ჩატარების საშუალება, ჩვენ მხოლოდ ამას ვუწყობთ ხელს.

■ სკოლები ორ სახედ იყოფა: ვისაც მოსწონთ მანდატურის სამსახური (ასეთი უმრავლესობაა) და პირიქით „ვისაც არ მოსწონთ (ასეთი სკოლები „დამრღვევი“ სკოლებია, რომლებსაც არ მოსწონთ მაკონტროლებელი). ეს პრობლემა, ალბათ, უფრო პიროვნებებშია. ხშირად ასეთი მასწავლებლები არღვევენ მოსწავლის უფლებებს. ისეთ შემთხვევაში, როცა გამოიკვეთება მოსწავლის უფლების დარღვევა, ჩვენი სამსახური ვალდებულია ამის შესახებ დირექტორი ჩააყენოს საქმის კურსში. თუ მასწავლებელი გაკვეთილის მსვლელობის დროს დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეს გაკვეთილზე ვერ აჩერებს, უნდა მიმართოს დირექციას, რომ ეს მოსწავლე უშლის გაკვეთილის ჩატარებაში ხელს. თუმცა ასე არ ხდება, უფრო ხშირად მოსწავლეებს, ასე ვთქვათ, გარეთ „აგდებენ“ და ამით, თითქოს, ააოლებენ საქმეს. დირექციას ასეთი შემთხვევისთვის უნდა ჰქონდეს გამოყოფილი სპეციალური ოთახი, რათა მოსწავლე უმეთვალყურეოდ არ დარჩეს. დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეზე დირექცია ახდენს რეაგირებას. მანდატური მხოლოდ და მხოლოდ აფიქსირებს დარღვევებს წერილობით – ფურცელზე. დარღვევებზე რეაგირებას კი, როგორც გითხარით, დირექცია ახდენს. თუმცა, როცა ინერება დარღვევა, აუცილებელია მანდატური არ იყოს ცალმხრივი და ორივე მხარე გამოიკითხოს.

■ მანდატური ასევე ვალდებულია დააფიქსიროს მასწავლებლის გაცდენაც, ანუ თუ გაკვეთილი ცდება, მანდატურმა უნდა მოიკითხოს დირექციასთან რატომ არ არის ესა თუ ის მასწავლებელი გაკვეთილზე. თუკი დადასტურდება, რომ ის მართლაც აცდენს საგაკვეთილო პროცესს, ამ შემთხვევაში, მანდატური ვალდებულია ეს დარღვევაც წერილობით დაადასტუროს დარღვევის ფურცელზე. მთავარია, გაკვეთილი არ ჩაიშალოს. არის შემთხვევა, როცა დირექტორსაც არ აინტერესებს ეს ყველაფერი, მაგრამ ჩვენი ვალდებულებაა, ასეთი ფაქტები, თუკი არსებობს, ყურადღების მიღმა არ დავტოვოთ. იყო შემთხვევები, როცა გაკვეთილის მსვლელობისას, სრულიად შემთხვევით, მანდატური მოწმე გახდა იმისა, თუ როგორ ეწეოდა მოსწავლე გაკვეთილზე სიგარეტს. ეს ყველაფერი ფანჯრიდან დაინახა, რადგანაც გაკვეთილზე შესვლის უფლება არ აქვს, მაგრამ შეიძლება ასეთ შემთხვევაზე თვალი დავხუჭოთ და რეაგირების გარეშე დავტოვოთ? ამ ფაქტს მოჰყვა ის, რომ მანდატურის მიერ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე დაიწერა შემთხვევა – რომ მოსწავლე ეწეოდა გაკვეთილზე სიგარეტს, გადავეცით დირექციას. დირექციამ კი შესაბამისად მოახდინა რეაგირება - გაფრთხილება როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს სკოლის შინა განაწესის მიხედვით. მწეველი მასწავლებლისთვის, შინაგანაწესის მიხედვით, უნდა იყოს გამოყოფილი ოთახი, ასეთი ოთახები ძალიან ცოტაა, ამაზე დირექცია არ ზრუნავს. საერთოდ, ჩემი სუბიექტური აზრია, რომ სკოლაში მასწავლებლი არ უნდა ეწეოდეს სიგარეტს, რადგან ის მაგალითის მიმცემი უნდა იყოს მოსწავლისათვის. საერთოდ, გაუგებარია და არაფერში არ ჯდება შემთხვევა, როცა მასწავლებელი გაკვეთილზევე აძლევს მოსწავლეს უფლებას, მისივე თანდასწრებით მონიოს სიგარეტი. ასეთი მასწავლებელი რა მაგალითის მიმცემი უნდა იყოს მისთვის, ან თუნდაც მერვე კლასელის მშობელი, რომელიც გეტყვის: ნუ აუკრძალავთ ჩემს შვილს სიგარეტის მონევას! ასეთ ფაქტებს საერთოდ ჩიხში შევყავართ.

■ მეორე კლასში მოხდა შემთხვევა, როცა მოსწავლემ გაკვეთილის მსვლელობისას ჩაისველა, მაგრამ არა იმის გამო, რომ მანდატური მასწავლებლებს უკრძალავს ბავშვის ტუალეტში გაშვებას, არამედ იმიტომ, რომ ის მოსწავლე დაავადებულია უნებლიე შარდვით. აქვე მინდა გავფანტო საზოგადოებაში მოარული აზრი, რომ მანდატური კრძალავს მოსწავლის ტუალეტში გასვლას საგაკვეთილო პროცესის დროს. გარწმუნებთ, ეს მხოლოდ არასასურველი ჭორია, რომელიც მანდატურის შესახებ ვრცელდება.

■ ვიდრე მანდატური დარღვევის ფურცელს გამოწერს, უკავშირდება ცენტრს, რაიონის კოორდინატორს და საქმის კურსში აყენებს, რომ სკოლაში მოხდა რაიმე ტიპის დარღვევა. თუ მანდატური ინიციატივას თავად გამოიჩენს, რაზეც პირადად მე მათ მკაცრად ვაფრთხილებ, გადაწყვეტილების მისაღებად სკოლაში მომუშავე ჯგუფმა უნდა მოილაპარაკოს, გადაწყვეტილებაც ამის შემდგომ უნდა მიიღონ. აქედან გამომდინარე, მინდა გითხრათ, zრომ სერიოზულ გადაცდომას მანდატურების მხრიდან ადგილი არ ჰქონია. მანდატურები ვალდებულები არიან მაქსიმალურად დაიცვან ობიექტურობა. ობიექტურობის ხარისხი, ბუნებრივია, მართლაც მნიშვნელოვანი საკითხია. ამის მოკლე პასუხი არის ის, რომ მანდატური ყოველთვიურად როტაციას განიცდის, რადგანაც ისევ და ისევ ქართული მენტალობიდან გამომდინარე, არ ვართ დაზღვეული, რომ მანდატურსა და თუნდაც რომელიმე მასწავლებელს შორის ღრმა მეგობრულმა ურთიერთობამ არ დააკარგვინოს მათ ობიექტურობის განცდა და ისევ პირნათლად შეძლონ დაკისრებული მოვალეობის შესრულება. დისტანციის განსაზღვრა ცოტა რთულია, ამიტომაც მანდატურის სკოლაში ხშირი ცვლა ამას უკეთ დაარეგულირებს.

■ ყველაზე სერიოზული პრობლემა დღეს სკოლაში მშობელია სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან მშობლები, რომლებსაც საერთოდ არ აინტერესებთ, რას აკეთებენ მათი შვილები სკოლაში. ეს სერიოზულ დაბრკოლებას ქმნის.

ყველაზე ხშირი დარღვევა, რაც სკოლაში ვლინდება, სიგარეტის მოწევაა. თუმცა, ჩვენი სკოლაში შესვლის შემდეგ, ძალიან შემცირდა მოზარდების მიერ სიგარეტის მოხმარების ფაქტები. და კიდევ დაგვიანება, რომელიც ზოგადად, ქართული სენია. ეს შემთხვევები შემიძლია გითხრათ აღმოიფხვრა, იმდენად, რომ ზოგიერთი სკოლიდან მშობელს შვილი იმის გამო, რომ სკოლაში ვეღარ აგვიანებს ან ვეღარ აცდენს, კერძო სკოლაში გადაყავს. თუმცა, მომავალი წლიდან კერძო სკოლაში ისე, როგორც საჯარო სკოლაში, მანადატურის სამსახური ამოქმედდება.

■ გარკვეულ შემთხვევებში, როცა მოსწავლე ჩივის რაიმეს მანდატურებთან, კონფედენციალურობას ვიცავთ. ამ შემთხვევაში, ჩვენ მის მომავალზე ვზრუნავთ.

■ ბუნებრივია, სკოლაში ბევრი პრობლემაა, მაგრამ ეტაპობრივად ეს პრობლემები გვარდება. იყო შემთხვევები, როცა მასწავლებლები უარყოფითად განაწყობდნენ მოსწავლეებს მანდატურისადმი, მაგრამ ნელ-ნელა შევძელით მოსწავლეთა ნდობის მოპოვება. მასწავლებლებთან ურთიერთობა კი ისევ და ისევ მასწავლებლებიდან გამომდინარეობს. ბუნებრივია, ყველას არ აქვს ერთნაირი დამოკიდებულება, ბევრი სკოლა მადლობის წერილებსაც კი გვწერს.

■ მინდა დაგარწმუნოთ, რომ მინიმუმამდეა დაყვანილი სიგარეტის მოწევის და დაგვიანების ფაქტები, ასევე, ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებიც. არის შემთხვევები, როცა გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ მოსწავლეებს შორის დაძაბული ურთიერთობაა, მათთან ჩვენ საუბრებსაც კი ვაწარმოებთ, დირექციის დახმარებით ვიბარებთ მშობლებს და მათი ჩართვით ამ სიტუაციას განვმუხტავთ. მნიშვნელოვანია, მშობელს ურთიერთობა ჰქონდეს ჩვენთან, ხშირად მათგან აგრესიაც კი მოდის, ასეც კი გვპასუხობენ – ნუ გვაღვიძებთ, ნუ გვაწუხებთ... მაგრამ, იმედია, ეს დამოკიდებულებაც შეიცვლება.

■ ბათუმში და ზუგდიდში მანდატურების შეყვანა დასრულებულია, ქუთაისში – დაწყებულია, ფოთში და რუსთავში დეკემბერში შევლენ, გორში უკვე დაიწყო შესვლა, ნელ-ნელა მოვიცავთ ყველა რეგიონს და ყველა სკოლას. მიუხედავად იმისა, რომ მანდატურებმა გაიარეს მოსამზადებელი კურსები, ისევ და ისევ გადავამზადებთ, რადგანაც მანდატურის სამსახურის მუხტი, რომელიც დღესდღეობით არსებობს, უნდა შევინარჩუნოთ. თუკი გამოვლინდება მანდატურის მხრიდან დარღვევა, ამას აუცილებლად სათანადო რეაგირებაც მოჰყვება. აქვე გეტყვით იმასაც, რომ მანდატურის ხელფასი ნამდვილად არ არის 700 ლარი, მათი ხელფასის ოდენობა 500 ლარია და ხელზე 400 ლარს იღებენ.

* * *

შეხვედრაში რამდენიმე მანდატურმაც მიიღო მონაწილეობა, მათ თავიანთ გამოცდილებაზე ისაუბრეს, თუ რა ურთიერთობა აქვთ მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან. მანდატურების თქმით, სკოლის მოსწავლეები მათ უფროს მეგობარს უწოდებენ და მათთან პირად პრობლემებზე სასაუბროდაც მოდიან.

ზაზა ადამაშვილი, 161-ე საჯარო სკოლის მანდატური: შინაგანაწესის მიხედვით ტელეფონის შეტანა გაკვეთილზე აკრძალულია. ამდენად გაკვეთილზე ფარულად გადაღებული ვიდეოებიც გაქრა. ამიტომ, ასეთი ფაქტები შემცირდა, თუმცა შემცირდა რეალურად და არა ვიდეოების არარსებობით. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მანდატურის სკოლებში შესვლამ ზოგადად დამოკიდებულება შეცვალა. მასწავლებელი უკვე ერიდება ძალადობის ფაქტებს, რადგანაც ის არ არის დარწმუნებული, რომ მოსწავლე, რომელზეც ძალადობას განახორციელებს ამ ფაქტს მანდატურთან არ გაამჟღავნებს. ეს არ არის ცუდი, რადგანაც მოსწავლეს, ამ შემთხვევაში, ჩვენი სახით გამოუჩნდა დამცველი. ბუნებრივია, ეს ფაქტი გადამწმდება და დადასტურების შემთხვევაში დაინერება დარღვევა. მანდატურის სამსახურმა, გარკვეულწილად, მასწავლებელი, შეიძლება ითქვას, აიძულა იყოს უფრო მეტად კორექტული მოსწავლის მიმართ. თუკი მასწავლებელი მოსწავლეს ვერ აჩერებს გაკვეთილზე, ძალადობის ნაცვლად მას შეუძლია მიმართოს დირექციას. რაც მთავარია, მასწავლებლები უკვე, ნელ-ნელა შემოდიან ჩვენთან ნდობაში და ჩვენი საქმიანობიდან და ურთიერთობიდან გამომდინარე, თავიდან შექმნილი აგრესია ნელ-ნელა ქრება. მოსწავლეებთან კი ეს ნდობა მალევე მოვიპოვეთ, უფროსკლასელებთან გაცილებით ადვილად შევდივართ კონტაქტში, ვიდრე პატარებთან.

ლევან ხარაზაშვილი, 179-ე საჯარო სკოლის მანდატური: ჯგუფის წევრები ერთად ვახდენთ ინფორმაციის მოკვლევას, შემდეგ ვაფიქსირებთ დარღვევის ფურცელზე, რომელიც სამ ეგზემპლარად ინახება: ერთი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ერთი დირექციაში და ერთიც მანდატურთან. მუშაობის დღიდან ყველაზე ხშირად გამოვლენილია დაგვიანების ფაქტები, რომელიც ბოლო დროს აღარც კი ფიქსირდება. ახლა სკოლაში, სადაც 1500 მოსწავლე სწავლობს, შეიძლება ორმა ან სამმა ბავშვმა დაიგვიანოს. დამეთანხმებით, ეს მაჩვენებელი მართლა აღარაფერია იმასთან, რაც წლის დასაწყისში იყო – როგორც წესი, 100-დან 200 მოსწავლემდე აგვიანებდა. ხშირი იყო ბოლო გაკვეთილებიდან უფროსკლასელი მოსწავლეების წასვლის შემთხვევებიც, ეს პრობლემაც მოგვარებულია. ჩვენ ვალდებულები ვართ, გაკვეთილების ცხრილის მიხედვით, მთელი დღის განმავლობაში თვალი ვადევნოთ მოსწავლეთა დასწრებას. ორ სკოლაში მომიწია მუშაობა და არც ერთ სკოლაში სხვა სახის სერიოზული დარღვევები არ დაფიქსირებულა.

ქეთი ნარიმანიძე, 179-ე საჯარო სკოლის მანდატური: ბავშვებთან მაქსიმალურად კარგი ურთიერთობა გვაქვს, ასეთივე კარგი ურთიერთობა დამყარდა უკვე პედაგოგებთან. თუმცა, თავიდან ბავშვები თითქოს შიშით იყვნენ შეპყრობილები, ფორმიანი მანდატურები მათთვის პოლიციელებთან ასოცირდებოდნენ. თუმცა ეს ფაქტორი მალევე მოიხსნა, მათ ჩვენში მართლა დაინახეს არა მაკონტროლებელი, არამედ მათზე მზრუნველი ადამიანები. უკვე ხშირია შემთხვევები, როცა მოსწავლეები პირად პრობლემებზეც მოგვმართავენ, ანუ ნდობის ფაქტორი გაიზარდა.

მანჩო სულაშვილი, 174-ე საჯარო სკოლის მანდატური: რასაკვირველია, თავიდან ურთიერთობებში პრობლემებიც იყო, მაგრამ დღეს თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ბავშვებს ვუყვარვართ. ჩვენ ჯერ ადამიანები ვართ და მერე მანდატურები, ამას მოსწავლეები გრძნობენ და გვენდობიან. ბავშვებს ფაქიზი მიდგომა სჭირდებათ, არ უყვართ, როცა მხოლოდ კონტროლის თვალით უყურებ და მის პრობლემას არ იზიარებ. ამ შედეგებისათვის რომ მიგვეღწია, საკმაოდ კარგი წვრთნა გავიარეთ პოლიციის აკადემიაში, ასევე გვქონდა გასაუბრება ფსიქოლოგებთან, ისინი ჩვენს ქცევას აკვირდებოდნენ, თუ რამდენად ვიყავით მზად ამ სამსახურისთვის. გავიარეთ ჯერ მოსამზადებელი კურსი 10 საგანში – სისხლის სამართალი, ადმინისტრაციული და ა.შ. ასევე ჩავაბარეთ უნარ-ჩვევები, რაც მთავარია, გავიარეთ ბავშვის ფსიქოლოგია, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც, როცა სკოლაში შედიხარ, აუცილებელია კარგად იცნობდე ბავშვის ფსიქოლოგიას. ბუნებრივია, ჩვენ ვცდილობთ გავამართლოთ ეს წვრთნები და, ვფიქრობთ, გამოგვდის კიდეც.

* * *

მანდატურის სამსახურის სკოლაში განხორციელებული პირველი ნაბიჯების გასაცნობი შეხვედრა მართლაც ორმხრივად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რადგანაც ჟურნალისტთა და, ზოგადად, საზოგადებაში გაჩენილ კითხვებს პასუხები გაეცა. შეხვედრის ბოლოს მანდატური ჩვენს ცნობიერებაშიც იკავებს ახალ ნიშას. შემდეგი ნაბიჯები კიდევ უფრო მეტად მოგვცემს საშუალებას, თქვენთან ერთად შევაფასოთ, რა შედეგები მოგვცა მანდატურის სამსახურის ამოქმედებამ.

ლალი ჯელაძე

„დიოგენეს“ კონკურსი დაუვიწყარი მოგზაურობების თანხლებით

გამომცემლობა „დიოგენე“, ტრადიციულად, ქვეყნის მასშტაბით აგრძელებს სხვადასხვა საგნებში კონკურსებს მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის.

ისტორიის კონკურსი საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX, X, XI და XII კლასების მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის მიზნად ისახავდა ისტორიის შესწავლით დაინტერესებული მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების გამოვლენასა და წახალისებას.

კონკურსი 2 ტურად გაიმართა:
I ტური – 2010 წლის ივნისში;
II ტური – 2010 წლის ივლისში.

I ტურში მონაწილეობის მისაღებად მოსწავლეებმა წარმოადგინეს მცირე გამოკვლევა შემდეგ თემატიკაზე: უცნობი სახელები; საგვარეულოთა ისტორია; საქართველოს მხარეთა მრავალფეროვნება (კონკრეტული კუთხის, ქალაქის, სოფლის მაგალითზე); მსოფლიო ისტორიული პროცესები და საქართველო.

I ტურში შემოსული მასალები განიხილა სპეციალურმა ჟიურიმ დახურული წესით და შეარჩია საუკეთესო ნაშრომები, რომლებიც მეორე ტურში გავიდა. შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ისტორიულ წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობისა და კვლევის უნარს. II ტურში ფინალისტმა მოსწავლეებმა წარადგინეს თავიანთი ნაშრომი ჟიურისა და აუდიტორიის წინაშე მოკლე პრეზენტაციის ფორმატით.

კონკურსში გამარჯვებულად დასახელდა თბილისის 141-ე საჯარო სკოლის მოსწავლე **ნატო აბრამაშვილი** – პედაგოგი **დალი გურგენაშვილი** (ინდივიდუალური ნაშრომით) და პატარძეულის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეები: **ნინო ქიმაძე, ქეთევან ონაშვილი, ტარიელ უსიტაშვილი** – პედაგოგი **ეკა ჯიღაური** (ჯგუფური ნამუშევრით). გამარჯვებული მოსწავლეები თავიანთ მასწავლებლებთან ერთად დაჯილდოვდნენ ერთკვირიანი მოგზაურობით ეგვიპტეში.

II ადგილზე გავიდნენ: პატარძეულის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის მოსწავლე **არსენ გორგაძე** – პედაგოგი **ნანა ნარიმანიშვილი** (ინდივიდუალური ნაშრომით) და მუკუზნის საჯარო სკოლის მოსწავლეები: **სალომე უზუნაშვილი, ელისო უზუნაშვილი** და **მარი გამყრელიძე** – პედაგოგი **ლია მარადიშვილი** (ჯგუფური ნამუშევრით). III ადგილზე გავიდა ლასურიაშის საჯარო სკოლის მოსწავლე **თორნიკე ჭაბუკიანი** – პედაგოგი **ნინო ლაკვეხელიანი** (ინდივიდუალური ნაშრომით) და თბილისის 42-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები: **სოფიო გელაშვილი, სულხან ჩარგეიშვილი** – პედაგოგი **მანანა გაბუნია** (ჯგუფური ნამუშევრით). წამახალისებელი პრიზები მიიღეს: თბილისის 208-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ **მარიამ ჯაბისაშვილმა** – პედაგოგი **ნინო ვახვახიშვილი** და თბილისის 141-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა **ანჟელა ქარდავამ** და **მაგდა ნარიმანიძემ** – პედაგოგი **დალი გურგენაშვილი**. მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა მიიღეს ფასიანი საჩუქრები და დაათვალიერეს საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმი.

II ტურის მონაწილე ყველა მოსწავლე და მასწავლებელი დაჯილდოვდნენ ორდღიანი ექსკურსიით უბისა, ბაგრატი, მოწამეთა, გელათის და კაცხის ხევის ეკლესიის მიმართულებით.

ეკა ხარატიშვილი, „დიოგენეს“ რეალიზაციის მენეჯერი: *„ჩვენი გამომცემლობა წლების განმავლობაში ატარებს სხვადასხვა სახის კონკურსებს, მათ შორის, ისტორიაშიც. წელს ისტორიის კონკურსში გამარჯვებული ბავშვები – 4 მოსწავლე – ქაიროში წავიყვანეთ. მათ ახლდათ ორი მასწავლებელი. „დიოგენეს“ მხრიდან ეს ჩემთვისაც სერიოზული საჩუქარი იყო. 3 ნოემბერს ერთკვირიანი ტურით ეგვიპტეში გავემგზავრეთ. ქაიროში დაგვხვდა რუსულენოვანი გიდი, რომლის გამოც ბევრი რამ გამარტივდა. ტურში შემავალი ექსკურსიები ძალიან მოეწონათ ბავშვებს, ამის გარდა, ჩვენ თვითონაც დავგეგმეთ ღონისძიებები, მაგალითად, გავისეირნეთ ნილოსზე. ეს ერთი კვირა მართლაც დაუვიწყარი აღმოჩნდა ყველასთვის, ბავშვები აღფრთოვანებულები დაბრუნდნენ. აქვე გეტყვით, რომ არც ერთი გამომცემლობა ასეთი პრიზებით არ ანებივრებს მოსწავლეებს, ამიტომაც მათგან ძალიან ბევრი მადლობა მივიღეთ. რაც მთავარია, ჩვენი ბავშვები იმდენ ინფორმაციას ფლობდნენ ეგვიპტის შესახებ, რომ გიდიც კი გაოცებული დარჩა – აღმოჩნდა, რომ, რასაც გვიყვებოდა, ბავშვებმა ყველაფერი იცოდნენ. გარდა იმისა, რომ ჩვენ სახელმძღვანელოებით ვაინტერესებთ სკოლებს, მოსწავლეებს გარკვეულ სტიმულსაც ვაძლევთ, რომ კარგად ისწავლონ და იყვნენ გამორჩეულები. კონკურსის თემატიკაც იმდენად საინტერესოა, რომ ბევრ ახალ ინფორმაციას იღებენ თემებზე მუშაობისას. მინდა გამოვეხმაურო კონკურსში მონაწილეთა უკმაყოფილებასაც, მათ, ვინც საჸრიზო ადგილები ვერ აიღო. ჩვენ მხოლოდ მოსწავლეთა ნიჭიერებასა და მონდომებაზე ვართ ორიენტირებულები და, ამდენად, გამარჯვებულების შეფასებისას ობიექტურობა მაქსიმალურადაა დაცული. ამ შემთხვევაში, ჩვენი ინტერესი მხოლოდ და მხოლოდ ნიჭიერ მოსწავლეთა გამოვლენაა.“*

ნატო აბრამაშვილი, ისტორიის კონკურსის გამარჯვებული, 141-ე სკოლის მოსწავლე: *„მე ვიმუშავე თემაზე „ვაინახები“, რომელიც ჩეჩნებს, ინგუშებს და ქისტებს ეხებათ. ძირითადად, თემაში ქისტების ცხოვრების ამსახველ ინფორმაციას მოვუყარე თავი. საერთოდ, ამ თემით ადრევე დავინტერესდი, ეს ინტერესი კი ქალბატონმა* ***მექა ხანგოშვილმა*** *გამიჩინა, ის რამდენიმე წლის წინ გავიცანი. იმდენად საინტერესო ადამიანი აღმოჩნდა, რომ ამ ხალხის ისტორიით, მათი ყოფაცხოვრებით დავინტერესდი. როდესაც სახელმძღვანელოში კონკურსის შესახებ ამოვიკითხე, მაშინვე გადავწყვიტე, რომ ამ თემაზე ვიმუშავებდი. ქალბატონმა მექამ წამიყვანა თავის სოფელში, დუისში. ძალიან შთამბეჭდავი იყო ამ ხალხთან შეხვედრა.*

სხვა ლიტერატურასთან ერთად, მექას მამის, ***ხოსრო მანგოშვილის*** *წიგნიც გამოვიყენე. მაგრამ, როგორც გითხარით, დუისში მოსახლეობასთან უშუალო ურთიერთობამ უფრო მეტი ინფორმაცია მომცა. გავეცანი მათ ტრადიციებს. თურმე, მათი სამზარეულო ხინკალს ისეთივე პატივს სცემს, როგორც ქართული, მაგრამ მას სხვა დატვირთვა აქვს. გარდაცვლილის ოჯახი ყოველ ხუთშაბათს ხინკალს, ტკბილეულს და სასმელს მეზობლებს ურიგებდა. მათი წეს-ჩვეულებებიდან განსაკუთრებით დამამახსოვრდა სტუმრის მიღების წესი, ისინი სტუმარს სიმღერით ხვდებიან, ასევე შემხვდნენ მეც. გამოირჩევა მათი ჩაცმულობაც, ეროვნული სამოსი თეთრი ფერისაა, ქალებს თავზე საპურავი ახურავთ.*

ისტორიის კონკურსში მეორედ ვიღებ მონაწილეობას, პირველად თურქი მესხების თემაზე ვიმუშავე, ესეც ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. ისეთ თემებზე მომეცა ჩაღრმავებისა და მუშაობის საშუალება, რომ კონკურსის გარეშე ამას ვერ გავაკეთებდი. ამ მხრივაც საინტერესოა კონკურსები. მიუხედავად იმისა, რომ უფროსკლასელი ვარ და ძალიან დატვირთული გრაფიკი მაქვს, წელსაც ვერ ვთქვი უარი მონაწილეობაზე. ღამე ვმუშაობდი თემაზე და, რაც მთავარია, არც ვნანობ. გარდა იმისა, რომ მივიღე საჩუქარი, რომელიც შეიძლება ითქვას, ჩემი ყველაზე დიდი ოცნება იყო, მივიღე განათლებაც გარკვეულ თემებზე. მინდა ვურჩიო თანატოლებს, რომ „დიოგენე“ ოცნებებს ახდენს და ამისთვის შრომა არ დაიზარონ. წლევანდელი შთაბეჭდილება ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მძაფრ და სასიამოვნო შთაბეჭდილებად დარჩება, ამისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გამომცემლობას და ისტორიის პედაგოგს, ქალბატონ ***დალი გურგენაშვილს****, რადგანაც ამ საგნის სიყვარული და ინტერესი სწორედ მისგან მოდის. ასეთი კონკურსები საუკეთესო სტიმულია იმისთვის, რომ კარგად ისწავლო. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო თამარ ლებანიძეს, იმისთვის, რომ ჩემი ყველაზე დიდი ოცნება აახდინა.“*

დაწყებითი კლასის მათემატიკის პედაგოგთათვის გამოცხადებულ კონკურსში მასწავლებლებმა საკონკურსოდ წარმოადგინეს მათივე შექმნილი თვალსაჩინოებები და დამხმარე მასალები: პლაკატები, საკლასიფიკაციო საგანთა ორიგინალური კომპლექტები, ბარათები, ლოტო და სხვ. კონკურსი მიზნად ისახავდა სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე ორიენტირებული მასწავლებლების გამოვლენასა და წახალისებას.

საკონკურსო მასალების შეფასებისას ჟიურიმ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა მათ საგანმანათლებლო ღირებულებასა და ორიგინალურობას.

კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ პრემიებითა და პრიზებით:

I ადგილზე გასულ **მანანა ბოკუჩავას** (კრწანისის საჯარო სკოლის პედაგოგს) გადაეცა პერსონალური კომპიუტერი (ნოუთბუქი) და სპეციალური 50%-იანი ფასდაკლების ბარათი გამომცემლობა „დიოგენეს“ ყველა სასკოლო სახელმძღვანელოზე მთელი სკოლისათვის;

II ადგილზე გასულ **აზა ჯუღელს** (ბორჯომის მე-4 საჯარო სკოლის პედაგოგს) ერთი კალენდარული წლის განმავლობაში გადაეცემა სპეციალური სახელფასო დანამატი, თვეში 130 ლარის ოდენობით;

III ადგილზე გასულ **შორენა კუპრავას** (124-ე საჯარო სკოლის პედაგოგს) ერთი კალენდარული წლის განმავლობაში გადაეცემა სპეციალური სახელფასო დანამატი, თვეში 100 ლარის ოდენობით.

მეორე ტურში გასულმა ყველა პედაგოგმა (I, II და III ადგილების ჩათვლით) მიიღო მათემატიკის II, III, IV კლასების სახელმძღვანელოს უფასო კომპლექტები მთელი კლასისათვის.

საქართველოს მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის გამომცემლობა „დიოგენეს“ კონკურსები სერიოზულ სტიმულად იქცა, გახდნენ საუკეთესონი.

ლალი ჯელაძე

ეროვნული გამოცდები

რამდენიმე დამაფიქრებელი ტენდენცია

ანალიზი და რეკომენდაციები

წელს, ეროვნულ გამოცდებზე, კონკრეტულად ქართული ენის გამოცდაზე გამოიკვეთა ახალი ტენდენცია – ბავშვები არაადეკვატურ პარალელებს ავლებდნენ ნაწარმოებებს შორის; უხვად იყენებდნენ უცხო სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობა აშკარად არ ესმოდათ; მწირი იყო მათი ლექსიკური მარაგი... ამის შესახებ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე საუბრობდა გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართულის, როგორც მეორე ენის ჯგუფის ხელმძღვანელი კახა ჯამბურია. მისივე რჩევით გთავაზობთ იმ პედაგოგების მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც გასწორების პროცესში მონაწილეობდნენ.

დასაწყისი იხ. № 35

გია მურღულია, 24-ე საჯარო სკოლის დირექტორი:

პირველ რიგში, ისეთი შთაბეჭდილება გამიჩნდა, რომ აპროტესტებს ყველა, მნიშვნელობა არა აქვს – აქვს საფუძველი თუ არა აქვს საფუძველი. მხოლოდ საპროტესტო ნაშრომებით, ცხადია, სრულად ვერ ვიმსჯელებთ როგორი თაობა მოდის, იმიტომ რომ, ბევრი უკეთესი ნაწერიც იყო და უარესიც. მარტო ამ ერთი სეგმენტით მსჯელობა ძნელია, მაგრამ რაღაც დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

ჩვენ გვაქვს სკოლაში წერის, ანუ აზროვნების კულტურის თვალშისაცემი ნაკლებობა. ძალიან სამწუხაროა ეს ამბავი, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ეს ასეა. აბიტურიენტები ადეკვატურად ვერ აღიქვამენ ტექსტს. კითხულობენ და რასაც კითხულობენ არსობრივად არ ესმით – ან სრულფასოვნად არ ესმით, ან არასწორად ესმით. ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირი იყო. ტექსტის ადეკვატური აღქმა საგამოცდო დავალებათაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. აი, ამ დავალების შესრულებისას საკმაოდ სერიოზულ ხარვეზებს ვაწყდებით. მაგალითად, იყო დავალება, რომელიც გულისხმობდა ჯემალ ქარჩხაძის ინტერვიუს პატარა მონაკვეთის ანალიზსა და შეფასებას: *კლასიკას არ ვაქცევთ ჩვენი ცხოვრების ცოცხალ ნაწილად. თითქოს მუზეუმებში გამოვფინეთ და შორიდან ვუყურებთ, ვტკბებით, მაგრამ პრინციპულად არ გავიაზრებთ და არ ვცდილობთ, ჩვენი ცხოვრების ნაწილად ვაქციოთ.* აბიტურიენტებს უნდა შეეფასებინათ და გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება. ბევრმა დაწერა, რომ კარგია, მუზეუმებში თუ ვინახავთ, მუზეუმში ყველაფერი კარგად არის დაცულიო. ამაზე ამ ტექსტში საერთოდ არ არის ლაპარაკი.

ზოგჯერ აბიტურიენტები ვერ იგებენ, კონკრეტულად რა დავალებას აძლევენ მათ, რა ამოცანის გადაწყვეტას სთხოვენ. მაგალითად, ევალებათ, რომ კონკრეტული ერთი ეპიზოდის მიხედვით დაახასიათონ ტარიელი – „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი პერსონაჟი. უკეთეს შემთხვევაში, წერენ ტარიელის დახასიათებას მთელი ტექსტის მიხედვით და არა – ამ კონკრეტული ეპიზოდის, უარეს შემთხვევაში – საერთოდ არ წერენ არაფერს. მთავარი ის არის, რომ აბიტურიენტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ვერ გაიაზრა, რას სთხოვდნენ.

ძალიან სერიოზული ნაკლია გატაცება ყალბი ან ზოგჯერ უაზრო ე.წ. მხატვრულობით. ეს „დაშაქრული“ მეტყველება ჩვენი სკოლის დიდი ნაკლია – მეტყველება სულ აღმატებული ხარისხებით. ადრე თხზულებები რომ იწერებოდა, ძალიან ხშირად, რუსთველზე წერდა ადამიანი თუ, მაგალითად, ალექსანდრე ჭავჭავაძეზე ვერ გაარჩევდი, იმიტომ რომ ერთზეც და მეორეზეც დაახლოებით ერთნაირი ეპითეტებით და ერთნაირი აღტაცებით წერდნენ. რაციონალური ფიქრის დეფიციტია, ემოციური ფიქრი ჭარბობს და თან გადაჭარბებულად ემოციური.

როგორც ჩანს, აბიტურიენტები ამოცანად ისახავენ პარალელების გავლებას – ეს მიიჩნევა ზოგადი განათლების ერთ-ერთ დამადასტურებლად. ამ პარალელების კითხვისას ზოგჯერ ისეთს წააწყდები, არაფერში რომ არ წერია. მაგალითად, ერთი მოსწავლე წერს – *გვადი გამოსწორების გზაზე დამდგარი ადამიანის მხატვრული სახეა, მისი სისხლიანი ყამა კი ნიკოლოზ ბარათაშვილის მერნად იქცა.* რა შუაშია ეს?! არ მინდა უფრო მძაფრი შეფასება გამოვიყენო (რადგან ბავშვზე ვსაუბრობთ), ვიტყვი მხოლოდ, რომ უკიდურესად შორს დგას ერთი მეორესგან, აქ პარალელის გავლება წარმოუდგენელია.

ან კიდევ ერთი – *გვადისთვის უცხო იყო შუშანიკის წამება, რომელმაც უფალთან დასამკვიდრებლად მრავალი ტანჯვა გადაიტანა და მასთან გვადის გაჭირვება ახლოსაც ვერ მივა.* რას ადასტურებს ან რისი გამომხატველია ეს ფრაზა, ძალიან ძნელი მისახვედრია. უფრო სწორად, ძალიან ადვილი მისახვედრია – ამ ბავშვს კარგი მასწავლებელი რომ არ ჰყავდა, ეს სრულიად ნათელია.

ბევრია მიმდევარი გაუგებარი „ფილოსოფოსობის“ და უცხო ტერმინთა საჭიროზე მეტად ან უადგილოდ გამოყენების. ბევრ ნაწერში შეგვხვდა „მეტაპლაზმი“, „ანთროპომორფული“ აბსოლუტურად არასწორ კონტექსტში.

საზოგადოდ, არის პრობლემა აზრის გამოხატვის და ეს არის ყველაზე მძიმე, რაც მე შემიძლია დღეს გითხრათ. ბევრს ძალიან უჭირს აზრის ჩამოყალიბება. მავანი მთელ აბზაცს ისე დაწერს, რომ ვერ გაარჩევ, რისი თქმა სურდა, აზრს ვერ გამოიტან ვერანაირს. აღარ ვლაპარაკობ სინტაქსზე, პუნქტუაციაზე, ორთოგრაფიაზე – აქაც საკმაოდ სერიოზული, პრობლემური ვითარება გვაქვს.

როგორც ჩანს, აბიტურიენტების მომზადების პრაქტიკაზე სერიოზული გავლენა იქონია შეფასების კრიტერიუმებმა, რაც წინასწარ გამოცხადდა. მაგალითად, აზროვნება და ზოგადი განათლება – აქ, როგორც ჩანს, რეპეტიტორები წინასწარ რაღაც კლიშეებს ამზადებენ, შემდეგ აბიტურიენტებს ასწავლიან და ისინიც აბსოლუტურად გაუაზრებლად იყენებენ ამ კლიშეებს რაგინდარა ვითარებაში.

როდესაც სურათი ასეთი მკაფიოა, უნდა დავფიქრდეთ და განვსაზღვროთ, რა გავაკეთოთ, რომ უკეთესი შედეგი გვქონდეს. ჯერ უნდა ვიცოდეთ, რა არის მიზეზი?

მოსწავლეების მნიშვნელოვანი ნაწილი გაკვეთილებზე არ დადიოდა. ახლა მდგომარეობა გამოსწორდა, ახალი და საკმაოდ მკაფიო მოთხოვნების შემოღების შემდეგ. პირდაპირ გეტყვით, რომ მივესალმები ამ მოთხოვნებს.

პედაგოგთა პრობლემაც გვაქვს. მაგალითად, მე ყურადღება მივაქციე დასკვნას დაწყებით კლასებში წიგნიერების კვლევის კომისიისას, რომლის თანახმადაც, ის პრობლემა, რაც საქართველოს სკოლების დაწყებით კლასებში (ზედა კლასებშიც) გვაქვს, დაკავშირებულია, მაგალითად, ერთ-ერთ სერიოზულ ფაქტორთან – დაწყებით კლასებში ჩვენ გვყავს პედაგოგები, რომელთა ლამის 100%-ს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, მაგრამ უმაღლეს სასწავლებლებში მათთვის არავის უსწავლებია, როგორ უნდა აამაღლონ წიგნიერება დაწყებით კლასებში. პედაგოგთა მომზადების მეთოდიკაში, პროგრამებში სერიოზული ცვლილებებია შესატანი, სკოლის დღევანდელ გამოწვევებს ახალმომზადებულმა კადრმა მაინც რომ უპასუხოს სრულფასოვნად. ვინც გვყავს პედაგოგები, მათი საკმაოდ დიდი ნაწილი კარგად არის მომზადებული ამ საქმისთვის, მაგრამ ასევე საკმაოდ მოზრდილი ნაწილი იმ მეთოდოლოგიას, სწავლების იმ ხერხებსა და საშუალებებს არ იცნობს ან ვერ იყენებს ეფექტურად.

პედაგოგთა მუდმივი პროფესიული განვითარების გაუმჯობესება ნამდვილად არის ამოცანა ჩვენს სკოლებში. გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ სერიოზული დახმარება სჭირდებათ მასწავლებლებს ლიტერატურით და ტრენინგებით, რომ მათ გააცნობიერონ და კარგად აუღონ ალღო იმ გამოწვევებს, რაც დღეს არის სკოლაში.

<u>რაც შეეხება რეკომენდაციებს:</u>

ჩვენმა პედაგოგებმა აბიტურიენტები კარგად უნდა მოამზადონ იმისთვის, რომ მათ ზუსტად ჰქონდეთ აღქმული საგამოცდო დავალებების ტიპები – რა ტიპის დავალება შეიძლება მიიღონ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. ამისათვის მომზადება შესაძლებელია, გამოცემულია კრებულები „როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის“, რომელიც ინტერნეტითაც ხელმისაწვდომია. მასწავლებელი ვალდებულიც კი არის, მოსწავლეები ავარჯიშოს ამა თუ იმ ტიპის დავალების შესრულებაზე.

მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ ტექსტის ადეკვატური აღქმა. ამისთვის სპეციალური მეთოდოლოგია არსებობს. ძალიან ხშირი უნდა იყოს სკოლაში ტესტირება – მოსწავლე მთელი წლის განმავლობაში უნდა ემზადებოდეს და მისთვის ფსიქოლოგიური დისკომფორტი კი არ უნდა იყოს გამოცდაზე გასვლა და ტესტირება, არამედ – ჩვეულებრივი ამბავი.

ძალიან მნიშვნელოვანია, ასევე, როგორ იყენებენ აბიტურიენტები მიღებულ ცოდნას. თუ კითხვას პირდაპირ სვამთ, შეიძლება გიპასუხონ, თუ თქვენ მოსთხოვთ, რომ ირიბად გამოიყენონ მათ მიერ მიღებული ცოდნა ახალ ვითარებაში, ეს პრობლემას ქმნის. ამიტომ, ამ მიმართულებითაც ჩვენმა სკოლებმა ძალიან სერიოზულად უნდა იმუშაონ.

ძალიან მნიშვნელოვანია ფიქრის კონსტრუირების სწავლება. ეს განსაკუთრებით ეხება თხზულების ნაწილს. როდესაც ადამიანი აზრს აყალიბებს, მას უნდა ჰქონდეს ძალიან მკაფიოდ გააზრებული, რა უნდა თქვას, რა არის ამ სათქმელის ძირითადი პოსტულატები, რა არის არგუმენტაცია ამ სათქმელის დასასაბუთებლად, როგორია ეს არგუმენტაცია და მას უნდა ჰქონდეს უნარი იმისა, რომ სათქმელი თქვას დალაგებულად, აბზაცები გამოყოს (ხშირად ესეც პრობლემადაა გადაქცეული). უნდა გითხრათ, რომ სათქმელის გააზრება და ჩამოყალიბება არა მარტო მოსწავლეების, არამედ მასწავლებელთა სერიოზული ნაწილის პრობლემაცაა. მაგალითად, როცა მასწავლებლებს მისცეს ასეთი დავალება – როდესაც ასწავლით რომელიმე ნაწარმოებს, პირველ რიგში, გვითხარით, თქვენი აზრით, რა არის ყველაზე არსებითი სათქმელი ამ ნაწარმოებთან დაკავშირებით, ასე ვთქვათ, უმთავრესი შინაარსი; მეორე – ამ შინაარსის სწავლებით ამა თუ იმ კლასში რა სირთულეს შეიძლება წააწყდეს ადამიანი (ეს მასწავლებელს გამოცდილი უნდა ჰქონდეს) და მესამე – რომ გააგებინო უმთავრესი შინაარსი და მოსწავლემ რომ დაძლიოს უმთავრესი შინაარსი ლიტერატურული ნაწარმოების სწავლებისას – რას გააკეთებთ გაკვეთილზე? ზოგჯერ ერთი პასუხი აღთას იყო, მეორე – ბალთას, ერთმანეთთან დაკავშირებული არ იყო. ზოგი წერს, რომ არსებითი ღირსება „შუშანიკის წამების“ არის მისი ავტორი. რამეს გავს ეს პასუხი?! მგონია, რომ ასეთ პედაგოგს სერიოზული პრობლემა აქვს საკუთარი ფუნქციის გააზრებასთან დაკავშირებით.

თუ წერდა მასწავლებელი, რომ ეს პრობლემაა, მესამე ნაწილში ვერ ხსნიდა, როგორ გაუმკლავდება ამ პრობლემას საკუთარ გაკვეთილზე. გავიმეორებ, რომ ჯერ პედაგოგთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა უნდა დაძლიოს პრობლემები თავის თავში, იმუშაოს ამაზე და მერე უკვე მოსწავლეებსაც კარგად უნდა ასწავლოს ეს ყველაფერი.

რაც შეეხება მხატვრულობას, მისი მთავარი საზომია გემოვნება. ჭყეტელა მხატვრულობა მხატვრულობა არ არის, ეს არის ნაკლები გემოვნების თვალსაჩინო გამოვლინება. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ ეს დამთავრდეს. სისადავე, შესაბამისობა, აზრის ინტენსიურად გამოხატვა – აი, ეს არის მხატვრულობის საფუძველი და არა ის, რომ დაახვავო აღმატებული ხარისხის ზედსართავი სახელები. ამას სერიოზული მიხედვა სჭირდება.

ცალკე სამუშაო უნდა გასწიოს მასწავლებელმა დასაბუთების კულტურის ასამაღლებლად. ზოგჯერ მოსწავლეები გამოხატავენ თავიანთ მოსაზრებას (ვფიქრობ, რომ ეს კარგია), მაგრამ მერე არ ან ვერ ასაბუთებენ, არგუმენტები ვერ მოჰყავთ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ტექსტიდან ვერ მოჰყავთ არგუმენტები. ტექსტის ცოდნა, აღქმა და გაგება ერთია, ინტერპრეტაცია მეორეა, სიმბოლური წიაღსვლები და სიმბოლოებით წვდომა მესამეა, მაგრამ უბრალოდ შინაარსის გადმოცემა ხომ უნდა შეეძლოს ადამიანს?! ესეც ძალიან არსებითია. შემდეგ ამის გამოყენება უნდა შეეძლოს თავის ფიქრში, განსაკუთრებით დასაბუთებისა და არგუმენტაციის დროს.

ბავშვების ლექსიკაა ძალიან მწირი, ძალიან ცოტას კითხულობენ. მასწავლებელი უნდა ეცადოს, მოსწავლე წიგნით დააინტერესოს, თვითონ უნდა მოიტანოს ნაწარმოები, განხილვა ჩაატაროს, ბავშვებს სათქმელი გაუნაწილოს, დისკუსია მოაწყოს. ასეთ დროს ძალიან საინტერესოა ხოლმე მოსწავლეთა დაინტერესება შეჯიბრით და ძალიან ხშირად გამოსაყენებელია ეს ხერხი იმიტომ, რომ როდესაც ბავშვები ერთმანეთს ეჯიბრებიან, თავიანთი თვალსაზრისის უკეთ გამოკვეთასაც ახერხებენ ამ დროს. „იძულებულნი“ არიან ტექსტი კარგად შეისწავლონ – მათ უნდებათ, სურვილი ებადებათ, გაცნობიერებული, მოტივირებულია მათი მოქმედება.

* * *

დალი გვენცაძე, შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, გამსწორებელთა კომისიის წევრი, ჯგუფის ხელმძღვანელი, სააპელაციო კომისიის წევრი:

უპირველეს ყოვლისა, გამოიკვეთა, რომ ძირითად პრობლემად რჩება ინსტრუქცია – მოსწავლეები ვერ კითხულობენ მას, ვერ იგებენ რას ავალებენ მათ, რა მოეთხოვებათ. სწორად წაკითხული ინსტრუქცია, პრინციპში, სწორ პასუხს ითხოვს. პასუხები იყო არაადეკვატური, გამოწვეული იმით, რომ ვერ კითხულობენ ინსტრუქციას.

იმდენად, რამდენადაც მე მიმუშავია როგორც დაწყებით სკოლაში, ისევე უფროს კლასებში, შემიძლია განვაცხადო, რომ ამ პრობლემას ყოველდღიურად ყველა საფეხურზე ვაწყდებით. ეს არ არის მხოლოდ ქართულის პრობლემა, ზოგადად მნიშვნელოვანი პრობლემაა. ჩემი აზრით, მიზეზი არის ერთი – წამოვიდა თაობა, რომელთა სწავლის დროს სკოლებში სასწავლო პროცესი, თითქოს, ცოტა გაჩერდა. ეროვნული გამოცდების ცენტრი ცალკე აღმოჩნდა, სკოლა ვერ დაეწია იქ მიმდინარე პროცესს. სკოლაში ბევრი სერიოზული პრობლემაა, იმავე სახელმძღვანელოების, კვალიფიციური მასწავლებლის როგორც დაწყებით სკოლაში, ისე ზოგადში საერთოდ. არსებობს ისეთი პრაქტიკა, რომ მოსწავლეებს სკოლაშიც და სახლშიც უმარტივებენ დავალებას, ანუ ინსტრუქციას უკითხავს მასწავლებელი ან მშობელი. თანაც ეს ხდება „ენისმოჩლექით“, შეძლებისდაგვარად უმარტივებენ – მოსწავლემ არ იცის რას ავალებენ და მასწავლებელი ან მშობელი მას პირობას „უთარგმნის“. ბუნებრივია, რომ ამის გარეშე – თუ განმარტება არ მიეცი მისგან რა უნდათ, დამოუკიდებლად ინსტრუქციაში ვერ ერკვევა. ვიმეორებ, ეს არ არის მხოლოდ ქართულის პრობლემა, მსგავსი სურათი დგას ზოგადად. შეუძლებელია, რომ ეს პრობლემა არ იყოს მათემატიკაში ან სხვა საგნებში, როდესაც მოსწავლეს არ ესმის რა მოქმედება უნდა განახორციელოს, რას სთხოვენ მას. ცხადად წარმოჩინდა, რომ არაადეკვატური პასუხების უმეტესობა განპირობებული იყო სწორედ ინსტრუქციაში გაურკვევლობით.

კითხვის უნარ-ჩვევის არქონა დაწყებითი სკოლიდან მომდინარე პრობლემაა. აბიტურიენტები წაკითხულიდან ინფორმაციას ვერ კრებენ, ვერ იღებენ და მეორე საფეხურზე ვერ აწესრიგებენ. მათთვის პირველივე საფეხური – ინფორმაციის ამოკითხვაც კი პრობლემაა. ყველას გვახსოვს, როდესაც ჩატარდა კვლევა კითხვის უნარ-ჩვევის შესამოწმებლად, საკმაოდ მძიმე ვითარება გამოიკვეთა. მოსწავლეები ვერ კითხულობენ მოცემულ ტექსტს, უფრო სწორად –კითხულობენ შეცდომით. შემდგომ როგორ წარმოგიდგენიათ შეცდომით ამოკითხული ინფორმაციის მოწესრიგება?! ეს არის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა.

→ 6

ეროვნული გამოცდები

რამდენიმე დამაფიქრებელი ტენდენცია

მე-5 გვერდიდან

ამის შემდგომ შეიძლება ვილაპარაკოთ კონკრეტულ დისციპლინაზე, მაგალითად ლიტერატურაზე, ფიზიკაზე, მათემატიკასა და ა.შ. ეს საზოგადო პრობლემაა. როდესაც მოსწავლეს კითხვა არ შეუძლია, ძნელია მას მოსთხოვო ანალიზი და შეფასება. სკოლა ზოგადად დგას ამ პრობლემის წინაშე და თუ მას კონკრეტული სახელი არ დაერქვა, საკმაოდ მძიმე შედეგამდე მივალთ. უბრალოდ, უხერხულიც კი არის ხოლმე, როდესაც მეთორმეტეკლასელებს ხმამაღლა კითხვა უჭირთ. თვალწინ მიდგას, როგორ კითხულობენ გამოცდაზე. მათთვის კითხვა ტანჯვაა. ეს არ არის მხოლოდ ის, რომ ამ თაობას არ უყვარს კითხვა, ამას სერიოზული მიზეზები აქვს, რომელსაც თუ არ ჩავწვდით და არ ვეცადეთ გამოსწორება, შედეგი თანდათან გაუარესდება.

ყველა პრაქტიკული სავარჯიშო მიმართული უნდა იყოს არა შინაარსზე, არამედ იმის შესამოწმებლად, როგორ კითხულობს მოსწავლე ტექსტს, არა თხრობა, არა ზეპირად მოყოლა (4-5-ჯერ წაკითხვა და გაზეპირებულის მოყოლა), არამედ – შინაარსის წვდომა. ხშირად, ბავშვს საქმე რომ გაუიოლოს, მშობელი უკითხავს ტექსტს ან მასწავლებელი, რომელიც დამატებით ამეცადინებს, იმიტომ რომ მისთვის ეს პრობლემაა. წესით და რიგით, სახელმძღვანელოებიც, პრაქტიკული მუშაობაც იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, შევამოწმოთ როგორ ამოიკითხა მოსწავლემ ინფორმაცია. როგორც სტატისტიკა აჩვენებს წელს საშინელი შედეგი იყო და მდგომარეობა ყოველწლიურად დამძიმდება, სანამ პრობლემას არ დაერქმევა სახელი. შეუძლებელია ადამიანმა, რომელიც ტექსტის ამოკითხვას ვერ ახერხებს, ისწავლოს სხვა საგნები. ასე რომ, შეიძლება ითქვას, აბიტურიენტებს, ძირითადად, ინსტრუქციის კითხვის პრობლემა აქვთ.

რაც შეეხება მხატვრულ ანალიზს, პროგრამა წინასწარ ეძლევათ და მასწავლებლებმა იცოდნენ, რას მოითხოვდნენ მათი მოსწავლეებისგან. მიუხედავად ამისა, მინდა გითხრათ, რომ მხატვრული ანალიზის პრობლემაც ჯერჯერობით დაუძლეველია. ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა, ეს საათობრივ ბადესთანაა დაკავშირებული. ყველა პრაქტიკოსმა მასწავლებელმა იცის, რამდენად ცოტა დროა იმისათვის, რომ მან არსებული სახელმძღვანელოების მიხედვით ამოწუროს არსებული სტანდარტი, წლის ბოლოს გავიდეს კონკრეტულ შედეგზე, კონკრეტულ ინდიკატორებზე. რეალურად, არა მგონია, რომელიმე მასწავლებელი დაეთანხმოს იმას, რომ არსებული სახელმძღვანელოებიდან თუნდაც ერთი მოცემულ დროში ეტევა. ვიმეორებ, აქ საათობრივი ბადის პრობლემაა.

ასევე დადგა ქართული ენის პრობლემა – დისციპლინა, რომელიც სკოლაში არ ისწავლება. განათლების რეფორმის რაღაც ეტაპზე ჩათვალეს, რომ გრამატიკა, ანუ ცნებებით აზროვნება ადრეა დაწყებით სკოლაში (რაც მართლაც ასეა, კატეგორიებით აზროვნება არ შეუძლიათ). ამიტომ ჩათვალეს, რომ ენის სწავლება საჭირო არ არის (აკაკი შანიძის „გრამატიკა“, ლეო კვაჭაძის „გრამატიკა“ გადავაგდეთ) და, სამწუხაროდ, დაიწყო ენის აბსოლუტურად უსისტემოდ სწავლება. გადაწყვიტეს, რომ ენა ინტეგრირებული უნდა იყოს ლიტერატურასთან და პრაქტიკულად ცალკე დრო არც არის მისთვის განსაზღვრული. ენობრივი მასალა მიჰყვება ლიტერატურულ ტექსტს, რაც აბსოლუტურად თითიდან გამოწოვილია, რადგან ამას სერიოზული დაგეგმვა სჭირდება – ზუსტად უნდა იყოს გაწერილი. არ შეიძლება იმის მიხედვით ვასწავლოთ, რომ, ვთქვათ, დღეს დაგვჭირდა ადგილის ან ვითარების გარემოება, ხვალ – ჩართული... მერე უცებ სინტაქსზე გადავედით ისე, რომ მოსწავლე ამისთვის მოუმზადებელია. რადგან სტანდარტმა მოითხოვა ლიტერატურასთან ინტეგრირებული ენა (რაც თავისთავად ცუდი არ არის), ამას სერიოზული მუშაობა სჭირდება. მაგალითად, ენის სახელმძღვანელო, რომელიც ავტორმა (ვახტანგ როდონაიას ჯგუფიდან) დაურთო, საათობრივ ბადეში არ ჯდება, სრულიად მოწყვეტილია. აუცილებლად სჭირდება დამატებითი დრო. სკოლაში ენის სწავლება სრულიად მოშლილია, მოსწავლე კლასიდან კლასში ისე გადადის, რომ უმარტივესი რაღაცეებიც კი არ იცის. ამიტომ მეთორმეტეკლასელებს მთელი კურსის თავიდან გავლა სჭირდებათ.

ხშირად კომიკურ სიტუაციამდეც კი მივდივართ – ალბათ, ბევრი დამეთანხმება, რომ ქართულის მასწავლებლებს გვჭირდება ინგლისურის მოშველიება (უცხო ენაში გრამატიკა ცალკე ისწავლება), გრამატიკული კატეგორიები რომ ავუხსნათ მოსწავლეებს. ბუნებრივია, როდესაც ვითარება ასეთი სავალალოა, ეს მოსწავლეების მეტყველებაზე და წერით აზროვნებაზეც აისახება. როგორ უნდა მოსთხოვო მას გამართული სინტაქსური კავშირი, როდესაც სინტაქსის კი არა, მორფოლოგიის კურსიც კი არ გაუვლია.

თუ შევაჯამებთ აბიტურიენტების ცუდი შედეგების გამომწვევ მიზეზებს, უპირველეს ყოვლისა, თავიდან მოყოლებული, სერიოზულად დასაგეგმია ენის სწავლება, ამავდროულად, ეს კარგი სახელმძღვანელოებისა და კვალიფიციური მასწავლებლების პრობლემაა სკოლებში.

წლევანდელი გამოცდის შედეგები გვაფიქრებინებს, როგორც ჩანს, იმისათვის, რომ აბიტურიენტები მოკლე დროში მოემზადონ, დააკმაყოფილონ კრიტერიუმები (რომლებიც წინასწარაა ცნობილი), „აკრიფონ“ ამ კრიტერიუმებით ქულები, შემუშავდა ე.წ. „მზა სქემები“. მაგალითად, თქვენ შეხვდებით სხვადასხვა აბიტურიენტების ნაწერებში ვიკიპედიიდან თემატურად ამოყრილ ერთი და იმავე ციტატებს (ხუმრობით „ვიკიფრაზებიც“ კი შევარქვით), ანტიკური ფილოსოფიით დაწყებული XXI საუკუნის ჩათვლით (პლატონი და არისტოტელე კი არა, ერთ-ერთ აბიტურიენტს ჟიჟეკის ციტატებიც კი ჰქონდა მოტანილი), ისეთი ბავშვების ნაწერებში, რომლებსაც ნამდვილად არ ეტყობათ, რომ ამ განათლებას ფლობენ. უბრალოდ, საჭირო გახდა წიგნიერების კრიტერიუმში ამ ქულის აღება. რასაკვირველია, ეს წიგნიერებაზე არ მეტყველებს, მით უმეტეს, ხშირად ციტატები უადგილო ადგილას, კონტექსტიდან ამოვარდნილია. წელს ეს მართლაც სერიოზული პრობლემა იყო, რომლის წინაშე სააპელაციო კომისიის მუშაობის დროს აღმოვჩნდით. უკვე ვცნობდით ერთი და იმავე ავტორის ერთი და იმავე ციტატებს, რომლებიც სხვადასხვა აბიტურიენტებს სპეციალურად ჰქონდათ მომზადებული და, კაცმა არ იცის, რატომ მოხმობილი. ეს იმის შედეგია, რომ ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მოკლე დროში მოემზადონ და ჩააბარონ გამოცდა. თუ სკოლებში, დაწყებითი საფეხურიდან მოყოლებული არ დაიწყო მოსწავლეების სერიოზული მომზადება, სათანადო შედეგი არ გვექნება.

პრობლემა გაცილებით მასშტაბურია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ჩვენი მოსწავლეები ცდილობენ, ერთ წელიწადში, მისახვევ-მოსახვევი გზით, უსწრაფესად მოემზადონ ეროვნული გამოცდებისათვის და რაღაცნაირად ახერხებენ კიდეც, მაგრამ ეს გზა ტყუილია. ამიტომ მსგავსი ნაშრომების ავტორებს ჩვენ ვერ მივეცით შეფასება წიგნიერებაში.

გავმეორდები და ვიტყვი, რომ სკოლას სჭირდება გამართული სახელმძღვანელო, კარგ სახელმძღვანელოს კი – კვალიფიციური მასწავლებელი. დღეს, როცა ამბობენ ამა თუ იმ სკოლაზე, რომ კარგია, იქ, უბრალოდ, კარგად შეიძლება იყოს აწყობილი რეჟიმი, მასწავლებლის კვალიფიკაციის სერიოზული პრობლემა, სამწუხაროდ, ყველგან დღითი დღე უფრო თვალშისაცემი ხდება. ამის მიზეზი პრაქტიკოსი მასწავლებლების სიმცირე მგონია, იმიტომ რომ აკადემიურ პერსონალს, ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელსა თუ უნივერსიტეტის ლექტორს სკოლის პრობლემებზე უბრალოდ ვერ ექნება წარმოდგენა. სკოლის წინაშე მდგარი პრობლემა მხოლოდ კვალიფიციურმა პრაქტიკოსმა მასწავლებელმა შეიძლება გაიაზროს. სკოლის ყველა პრობლემა საბოლოოდ პედაგოგამდე მიდის, მხოლოდ კვალიფიციურ პედაგოგს შეუძლია არსებული მდგომარეობის გამოსწორება.

ესაუბრა
ლალი თვალაგეიშვილი

ნააზრევი

ქართული ასომთავრულის გრაფიკული სისტემა

ყოველი ანბანი გარკვეული რაოდენობის ასონიშნების ერთობლიობას წარმოადგენს და როცა ანბანზე ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს ასონიშნები წარმოგვიდგება ხოლმე თვალწინ. ანბანის თვითეული ასონიშანი, თავის მხრივ, მცირე ზომის გრაფიკული ფიგურაა. ამ ფიგურების ანუ ასოების მოხაზულობა იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ თვალი მკაფიოდ და თავისუფლად აღიქვამს მათს ურთიერთსხვაობას. მაგრამ, ამავე დროს, ასონიშნები ერთმანეთთან გარკვეულ მსგავსებასა და ერთიანობასაც ამჟღავნებენ, რაც იმის დამადასტურებელია, რომ თვითეული ასოს მოხაზულობა ანბანის ერთიან გრაფიკულ სისტემას ექვემდებარება, რომ ასოებს შორის გარკვეული კავშირი და ურთიერთშესაბამისობა არსებობს და რომ ამდენად, თვითეული ასონიშნის ხატი მოცემული ანბანისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებით არის განსაზღვრული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვითეულ ასონიშანს გააჩნია მოდელი, ანუ ნიმუში, იდეალური წინარე ხატი – არქეტიპი. ასონიშანი, რომელიც თავისივე თავის მოდელს არ შეიცავს, შეუცნობელ და უფორმო რასმე წარმოადგენს. ყოველი ასონიშანი თავის სრულფასოვან მოდელს მხოლოდ სხვა ასონიშნებთან მიმართებაში ამჟღავნებს. ასონიშნის გრაფიკულ სტრუქტურას მთელი ანბანის კონტექსტი განსაზღვრავს.

ჩვეულებრივ, ნაკლები ყურადღება ექცევა იმას, რომ ესა თუ ის ანბანი, გარდა იმისა, რომ ტიპოლოგიურად განსხვავებულ გრაფიკულ სისტემას აცნაურებს, ამავე დროს, გარკვეული მხატვრული მთლიანობითაც არის აღბეჭდილი და, ამ აზრით ხელოვნების ნაწარმოებს წარმოადგენს. ყოველ ანბანს საფუძვლად უდევს ხელოვნების აზროვნების სხვადასხვა პრინციპი, რომელთა ფესვიც განსხვავებული კულტურების რელიგიური, ფილოსოფიური და ესთეტიკური მსოფლმხედველობის წიაღშია საძიებელი. ასე რომ, ყოველი ანბანი ესთეტიკური ფენომენიცაა და ამდენად, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, განუმეორებელი მხატვრული სტილით არის აღბეჭდილი. ქართული ასომთავრულის მხატვრული სტილის საფუძველია ე. წ. გეომეტრიზმი: „ასომთავრული ღრმად გააზრებული გეომეტრიული სტილის სრულყოფილი გრაფიკული სისტემაა და ამ თვალსაზრისით იგი ბერძნულ მონუმენტურ დამწერლობას ეტოლება“ (რ. პატარაიძე).

რაში ცნაურდება ეს „გეომეტრიული სტილი?“

ბერძნული და ლათინური კაპიტალური დამწერლობის ანალოგიურად ქართული ასომთავრული ასოთა ამოსავალ გეომეტრიულ თარგად კვადრატს იყენებს და თუმცა რეალურად არსებულ წარწერებში ასოებს ზოგჯერ კვადრატის ეტალონიდან გადახრის ტენდენცია აქვთ, ისინი თვით უკიდურეს შემთხვევებშიც არ კარგავენ თავიანთი გეომეტრიული სტრუქტურის პირვანდელ ხატს. მათში ყოველთვის გამოიცნობა არქეტიპის განმსაზღვრელი ინერცია. კერძოდ წრიული ასოების დიამეტრი და ვერტიკალურად აგებული ასოების ღერძი კვადრატის ღერძის სიმაღლეა, ხოლო მასთან შერწყმული ელემენტები ზომით ამ ღერძის სიმაღლის ნახევარია (ელ. მაჭავარიანი). უნდა აღინიშნოს, რომ ეს ელემენტები კვადრატის მეოთხედშია განლაგებული. მეოთხედი კვადრატი ასონიშნების შემადგენელი ნაწილების გეომეტრიული „სახლი“, ანუ ამოსავალი პრინციპია. ქართული ასომთავრულის თვითეული ასონიშანი, ბერძნულ-ლათინური ასოების ანალოგიურად, გეომეტრიულ კანონთა შესაბამისად არის ჩაწერილი კვადრატის ცხაურში (ბადეში), რომელსაც მის შიდა სივრცეში მოქმედი დიაგონალური და ვერტიკალურ-ჰორიზონტალური ღერძების სისტემა ჰქმნის. ამის საფუძველზე ასომთავრული ანბანის გრაფიკულ სისტემაში დასტურდება კანონზომიერება, რომელიც ასონიშნების სრული და მეოთხედკვადრატული ნაწილების გეომეტრიული ნახაზის იდენტურობას ასაჩინოებს. ეს ეხება წრეს, წრის სამი მეოთხედისაგან და ნახევარწრისაგან კონსტრუირებული ასონიშნების სრულკვადრატოვან კორპუსებს, რომლებიც მეოთხედკვადრატული მოდიფიკაციით, იმავე ან განსხვავებული პოზიციით მეორდებიან სხვა ასოების გრაფიკაში (იხ. სურ.). გამომსახველობით საშუალებათა ასეთი ეკონომია ანბანების არცერთ გრაფიკულ სისტემაში არ არის დადასტურებული. ქართული ასომთავრულის გრაფიკულ სისტემაში ეკონომიის ეს პრინციპი ჰქმნის სწორედ იმ კონცენტრირებულ გეომეტრიზმს, რომლის მეოხებითაც, ასონიშანთა სიმრავლის მიუხედავად, ვიზუალური განსჯა მათ გრაფიკულად ურთიერთმონათესავე ელემენტებად აფიქსირებს.

მაგრამ ეს „გეომეტრიზმი“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტნაკლები სიცხადით ცნაურდება ეპიგრაფიკულ ძეგლებსა თუ პალიმფსესტებში შემონახულ ასოთა მოხაზულობაში. რატომ „ეწინააღმდეგება“ ემპირიული ასონიშანი თავისსავე არქეტიპს?

ასონიშანი იდეალური მოდელის ასლია და, როგორც ასეთი, ყოველთვის უპირისპირდება პირწმინდად ზუსტ, ზედმიწევნით პროპორციულ და სიმეტრიულ მოდელს, რომელიც შიშველი აბსტრაქტულობით ამჟღავნებს გეომეტრიულ სტრუქტურას. საერთოდ, ესთეტიკური ფენომენი (და ასეთია ანბანი) ყოველთვის გულისხმობს მოდელიდან ან სტანდარტიდან აუცილებელ გადახრას, „რადგან სიცოცხლე ძრწის მეტისმეტი სიზუსტის, აბსოლუტური სისწორის წინაშე... ზედმიწევნით პროპორციულობასა და ცივ სიმეტრიულობაში არის რაღაც ავბედითი, ანტიორგანული, სიცოცხლისადმი მტრული“ (თ. მანი). არნჰეიმის აზრით, მკაცრ სიმეტრიასა და ფორმის სიზუსტეს ხელოვნებაში იშვიათად და უდიდესი სიფრთხილით იყენებენ, ვინაიდან როცა მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება წესრიგს, „ცოცხალი სუბსტანციის“ რაოდენობა კლებულობს. ამრიგად, მოდელის აბსტრაქტულ გეომეტრიზმს და აბსოლუტურ სიზუსტეს უპირისპირდება ესთეტიკური ასლის ბუნებრიობა და ცხოველმყოფლობა. ეს ჯერ კიდევ არისტოტელესათვის და პლატონისათვის იყო ცნობილი. ანბანშიც ასევეა სწორედ აბსტრაქტული მოდელიდან „აუცილებელი გადახრა“ (ვეილი), ან „გამაცოცხლებელი გადახრა“ (არნჰეიმი) ანიჭებს ასოებს ბუნებრიობას, სილამაზესა და თბილ ცხოველმყოფლობას. ასომთავრულის უძველესი ეპიგრაფიკული წარწერები არქაული გვეჩვენება, ამგვარი შთაბეჭდილების შექმნა კი ანტიკური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ნიშანია, – ახალს იმთავითვე უნდა შეემოსა სიძველის იერი, – ეს ღირსებად ეთვლებოდა ხელოვანს. ანბანურ ნიშნებსაც დროის წიაღიდან „ორგანულად ამოზრდის“ შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა და ასომთავრულის შემოქმედს ბრწყინვალედ აქვს გადაჭრილი ეს ამოცანა. ქართული ანბანის შემოქმედი მარტო დიდი მოაზროვნე და ანალიტიკოსი კი არ არის, არამედ უდიდესი ხელოვანიც.

თამაზ ჩხენკელი

ჟურნ. „ფრესკა“, თბ. „ნაკადული“, 1987 წ., გვ. 27-29

კულტურული მემკვიდრეობა

განახლებული ქაშუეთი 100 წლისაა

თბილისში, რუსთაველის გამზირისა და ჯორჯაძის ქუჩის გადაკვეთაზე, იქ, სადაც დღეს ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი დგას, ძალიან დიდი ხნის წინათ, თურმე დავით გარეჯელის სახელთან დაკავშირებული უძველესი ტაძარი ყოფილა, რომელიც XVIII საუკუნეში, 1753 წელს, გივი ამილახვრის მიერ აგებულმა აგურის ეკლესიამ შეცვალა, რასაც ქვემო ტაძრის კარიბჭის მარცხენა კედელში დატანებული წარწერა ადასტურებს. XIX საუკუნის მიწურულს ეს ეკლესია დაზიანებულა. ქალაქის მაშინდელ წინამძღვარს **მარკოზ ტყემალაძეს** და ტაძრის მესვეურებს ახალი შენობის აგება გადაუწყვეტიათ და ძველი ეკლესიის ადგილას, 1904 წლის 12 ნოემბერს, ახალი ტაძრის მშენებლობა დაუწყიათ.

„ქვაშვ. წმ. გიორგის ეკლესიის კომიტეტის თავმჯდომარეს, თ. ამილახვარს, თ. მუხრანსკის, არჯევანიძეს და ეკკლესიის კრებულს სურვილი ჰქონდათ გაედიდებინათ ხსენებული ეკკლესია და რადგან ქვაშვეთის ეკკლესიის კედლები საკმაოდ დახეთქილია რამდენსამე ადგილას, ამისთვის კომიტეტმა მოიწვია მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე, ხუროთ-მოძღვარნი: ბუტკევიჩი, ტატიშჩევი, შიმკევიჩი, რაგოისკი და ბილფელდი, იმ მიზნით, რომ შეემოწმებინათ – შეიძლებოდა თუ არა ქვაშვეთის ეკლესიას სიდიდე მომატებოდა, ისე რომ დაზიანებული კედლები საშიში არ ყოფილიყვნენ. ხსენებულ ხუროთ-მოძღვართ განაცხადეს, რომ კედლები ძალზედაა დაზარალებულიო, რის გამოც, თათბირის შემდეგ, დაადგინეს ერთ ხმივ: სრულიად დაინგრეს ახლანდელი შენობა და ახალი ეკლესია აშენდეს საუკეთესო გეგმაზედ“ („ცნობის ფურცელი“, 1903 წელი, N2173, გვ 3).

„ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიას ამ ახლო მომავალში უპირებენ დანგრევას და ახალ ეკკლესიის აგებას. როგორც გამოუანგარიშებიათ, დასჭირდება 120, 000 მანეთი, 30, 000 სესხად უშოვნია კომიტეტს და 60, 000

მან. უკვე მზად აქვს. ვიდრე ეკკლესიას დაასრულებდნენ, გამართავენ დროებით სამლოცველოს ეკკლესიის გალავანში, რისთვისაც გადადებულია 6, 000 მანეთი“ („ივერია“, 1904 წელი, N99).

ტაძრის პროექტი **ლეოპოლდ ბილფელდმა** შეადგინა, რომელმაც ნიმუშად სამთავისის ტაძარი გამოიყენა. *„თანამედროვე შენობა წარმოადგენს სამთავისის ეკლესიის გეგმით აგებულ ჯვარ-გუმბათოვან, სამნავიან ტაძარს. მისი არქიტექტურული თავისებურებაა კანკელის არატრადიციული მდებარეობა. კანკელი გამართულია არა წინა სვეტებს შუა, არამედ მათ უკან, რათა მეტი ადგილი დაეთმოს მლოცველებს, ვიდრე მღვდელმსახურთ. მშენებლობაში გამოყენებულია ალგეთის ქვა, ძეგამის თეთრი ქვა, იტალიური მარმარილო. ჩუქურთმებით ზომიერადაა შემკული არც ისე ღარიბად, როგორც სიონი და არც ისე ჭარბად, როგორც ნიკორწმინდა. ჩუქურთმები გადმოღებულია საქართველოს სხვადასხვა ეკლესიიდან და საკვირველი ჰარმონიულობით არის ურთიერთშეთანხმებული. ტაძარი წარმოადგენს სიმარტივისა და სიმსუბუქის, თვალბანადობისა და სილამაზის იშვიათ სინთეზს“.* აღსანიშნავია, რომ ტაძრის მაღალტექნიკურად შესრულებული მდიდრული ჩუქურთმა **ნეოფიტე აგლაძეს** ეკუთვნის. ტაძარი მოხატულია ცნობილი ქართველი მხატვრის **ლადო გუდიაშვილის** მიერ 1947 წელს. ხატებიდან აღსანიშნავია: *„ღვთისმშობლის ხატი – ბეთანიისა, წმინდა გიორგი „წვერისი“, შედარებით ძველი ხატებია გრინევსკის „თამარ მეფე“, „დავით აღმაშენებელი“. კათალიკოს პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის ცნობით, ქაშვეთში დაცული იყო ორი ჯვარი ცხოველმყოფელი ხით, წმინდა ევსტათის მარჯვენა ხელის ოთხი თითი, დავით გარეჯიდან ჩამოსვენებული წმინდა მოწამეთა ნაწილები, იოანე ნათლისმცემლის სისხლი, ბასილი დიდის, იოანე ოქროპირის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, წმ. გიორგის, ქრისტეს ცრემლისა და ოფლის ქაღალდი, პავლე მოციქულის საფლავის მიწა და სხვა წმინდა ნაწილები“* (გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 1999 წ.).

1910 წლის 31 ოქტომბერს აკურთხეს თბილისის განახლებული ქაშუეთის ეკლესია. *„დღეს ქვაშვეთის წმ. გიორგის კრებული დღესასწაულობს ტაძრის კურთხევის სატფურებასა. ტაძარი წარმოადგენს იშვიათ შეთანხმებას სიმარტივისა და სიმსუბუქისას, თვალ-ტანადობისა და სილამაზისა. საფუძველი მისი ჩაიყარა 1904 წ. ნოემბრის 12-სა“* („სახალხო გაზეთი“). *„...ზაქარია ფალიაშვილმა ამ დღეს გიმნაზიისა და ფილარმონიის მომღერალთაგან გაერთიანებული, ძლიერი გუნდი გამოიყვანა და ეკლესიის დასავლეთი მხარე დაიკავა (ეს ადგილი ხელსაყრელი იყო რეზონანსისთვის). ეკლესიაში მოვიდა საქართველოს მაშინდელი ეგზარქოსის რუსული გუნდი. ეგზარქოსმა მოსთხოვა ზაქარიას ადგილის გათავისუფლება თავისი გუნდისათვის. ზაქარია ფალიაშვილმა არასგზით არ დაუთმო, თავის გუნდს ფეხი არ მოაცვლევინა და იქვე ლოტბარობდა ბოლომდე. უნაყოფო უსიამოვნებისა და შეჯახების შემდგომ, ეგზარქოსის გუნდი იძულებული გახდა სხვა ადგილი მოეძებნა. ისინი რუსულად გალობდნენ, ზაქარიას გუნდი კი ქართულად“* (შ. კაშმაძე, „ზაქარია ფალიაშვილი“).

გადმოცემის თანახმად, სიტყვა „ქაშვეთის“ წარმოშობა დაკავშირებულია მამა დავითის (გარეჯელის) სახელთან. „ქვა-შვეთი“ – საუბარია იმაზე, რომ ამ ადგილზე, სადაც ახლა ქაშუეთის ტაძარია, წინათ დედათა მონასტერი იყო. იქ ხშირად დადიოდა მამა დავითი. მონასტრის ერთ-ერთმა მონაზონმა დაარღვია ქალწულობის აღთქმა და დაორსულდა. ეს ამბავი თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს მამა დავითის მტრებმა და ბავშვის მამობა დააბრალეს. ქალიც გააფრთხილეს, თუ ასე იტყვი, ბავშვი გადარჩება, თუ არა – დაიღუპებაო. ქურუმები ხალხს მამა დავითის დასჯას სთხოვდნენ. მაშინ მამამ თავისი ჯვრიანი კვერთხი ქალს მუცელზე დაადო და ბავშვს მოსთხოვა, ეთქვა, ვინ იყო მისი მამა. მოხდა სასწაული, მუცლიდან ყველამ გაიგონა ბავშვის ხმა – მამაჩემი შენ არ ხარ, მჭედელიაო. დავითმა ქალს უთხრა, ამგვარი ცილისწამებისთვის ქვას შობო და ასეც მოხდა. სანამ თავად ქურუმები ჩაქოლავდნენ, ყოფილმა მონაზონმა ქვა გააჩინა. შემდეგ ამ ადგილზე ტაძარი ააგეს და ქვაშვეთი, ანუ ქაშვეთი უწოდეს. მამა დავითი კი ამ ამბების მერე განერიდა თბილისს და გარეჯის უდაბნოში დასახლდა, რათა წუთიერი და წარმავალი გასაჭირის დათმენით საუკუნო შვება მოეპოვებინა. ამიტომაც დაერქვა შემდგომში ამ უდაბნოს „გარე სჯა“, ანუ გარეჯა.

* * *

წელს, ქაშუეთის ტაძრის აღდგენიდან ერთი საუკუნე გავიდა. 23 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, გაიმართა ქაშვეთის ტაძრის აღდგენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენის ორგანიზატორები იყვნენ: ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი.

ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა ენახა დანგრეული და შემდეგ აღდგენილი ტაძრის ამსახველი უნიკალური მასალა – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, სადაც ასახულია ტაძრის ისტორია. ეროვნული არქივიდან წარმოდგენილი იყო: ფოტოები, დოკუმენტები და ტაძრის აღდგენის პროექტები; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო: ქაშუეთის შესახებ საინტერესო ფოტომასალა კალისტრატე ცინცაძის პირადი ფონდიდან; ტაძარში მოღვაწე სასულიერო პირებისა და წინამძღოლთა ფოტოები, ქაშუეთში დაცული ხატებისა და სიწმინდეების ფოტოები და უნიკალური წიგნები; ცნობილი ფრანგი მოგზაურის ბარონ დე ბაის მიერ გადაღებული ფოტოები (ქაშუეთის ტაძარი, 1880-90-იანი წლები). ტაძრის აღდგენის პროექტის ავტორის – ლეოპოლდ ბილფელდისა და ქაშუეთის ახალი ტაძრის ქვისმთლელების – ძმები აგლაძეების, ტაძრის აღდგენის ინიციატორებისა და დამფინანსებლების ფოტოები; ქაშუეთის განახლებული ტაძრის კანკელი და ძველი ტაძრის ინტერიერი; აგრეთვე დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა ენახა: ბეთანიის ღვთისმშობლის ხატი, შემკობილი ბარათაშვილთა მიერ; ხატი „ვედრება“ შემკობილი გაბაშვილთა მიერ (1713 წელი); ქაშუეთის ტაძრის სახარება (შეწირულია 1842 წელს, ტაძრის წინამძღვრის არჯევანიძის ქვრივის, რიფსიმეს მიერ); ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის, ალექსანდროვის ბაღის კეთილმოწყობის პროექტი და სხვ.

დეკანოზი მიქაელი, ქაშუეთის ტაძრის წინამძღვარი: *„ვულოცავ საქართველოს გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს. დღეს გვეძლევა უნიკალური შესაძლებლობა, გავეცნოთ იმ დიდებულ მასალებს, რომლებიც აქამდე არქივებში ინახებოდა და ფართო საზოგადოებისთვის არ იყო ცნობილი“.*

ლუარსაბ ტოგონიძე, საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი, გამოფენის ორგანიზატორი: *„100 წლის წინ, 1910 წელს დასრულდა ქაშუეთის განახლებული ტაძრის მშენებლობა. ჩვენ გადავწყვიტეთ საზეიმოდ აღგვენიშნა ეს თარიღი. შევაგროვეთ მასალები, რაშიც დიდი დახმარება გაგვიწია ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არქივმა. გამოფენა საფუძველს დაუდებს მეცნიერულ კვლევას, რომლის საბოლოო შედეგი იქნება ქაშუეთის ტაძრის შესახებ სამეცნიერო-პოპულარული კრებულის გამოცემა. კრებულში შევა ისტორიული წყაროები, პუბლიკაციები და ფოტომასალა“.*

ჩუქურთმა გუდიაშვილი, ლადო გუდიაშვილის შვილი: *„ბედნიერი ვარ, რომ დღეს ამ დიდებულ თარიღს აღნიშნავს ქართველი საზოგადოება. ვერ წარმოიდგენთ, როგორი სიხარული იყო ლადოსთვის, როდესაც კალისტრატე ცინცაძემ ტაძრის მოხატვა შესთავაზა. წარმოიდგინეთ, რა პერიოდში მოუხდა ამ სამუშაოს შესრულება. მაშინ როდესაც ტაძართან გავლაც კი სახიფათო იყო, მაგრამ მისთვის არ არსებობდა შიში, ის მთელი არსებით, მონდომებით, დაუღალავად, გატაცებით მუშაობდა. ძალიან რთული ეპოქა იყო. მე მაშინ პატარა ვიყავი, ამიყვანდა ხოლმე ხარაჩოებზე და მეუბნებოდა: გესმის ანგელოზების ფრთების შრიალი? როცა კალისტრატე ცინცაძე მოდიოდა ეკლესიაში და მოხატვის პროცესს ათვალიერებდა, ლადოს ღიმილი არ შორდებოდა სახეზე, ისე უხსნიდა პატრიარქს ნამუშევრების შინაარსს.*

წლების შემდეგ, უკვე მოხუცი ლადო საღამოობით სახლის აივნიდან გაჰყურებდა ქაშუეთს და ამბობდა – ჩემი კაპელა. ნამდვილ შემოქმედს რთული გზა აქვს, წამებული, მაგრამ მამამ ეს გზა ღირსეულად გამოიარა. მადლობას ვწირავ უფალს, მას ასეთი დიდებული საქმის შესრულება რომ არგუნა“.

მაკა ყიფიანი

იუბილე

აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი

– 170 –

საქართველო იყო ორი ბუმბერაზი მოაზროვნის, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის სალოცავი ხატი, მისი ნათელი მერმისისათვის ბრძოლის, შრომის, შემოქმედების, სათავე.

„თუ ჩემს სამშობლოს გამოაღვიძებს ჩემი სიკვდილი, აჰა, მეც მზად ვარ“ – ამბობდა აკაკი. „ჩემი სიცოცხლე, მთელი ჩემი ძალები და ცოდნა ეკუთვნის ჩემს სამშობლოს“ – აღნიშნავდა იაკობი. ისინი თავად იძლეოდნენ სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარულისა და მისთვის თავდადების ნათელ მაგალითს. გულის ტკივილამდე განიცდიდნენ მამულის მწარე ხვედრს. როგორც იაკობს, ასევე აკაკის ხალხის მდიდარი და უტყუარი განძის, ქართული ენის გადარჩენისათვის ბრძოლა საკუთარ მისიად მიაჩნდათ.

პროფესორი უშანგი ობოლაძე შენიშნავდა, ამ ორი დიდებული ადამიანის ურღვევ მეგობრულ კავშირს, მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა ისიც, რომ აკაკიცა და იაკობიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში მარტოხელანი იყვნენ. თუმცა აკაკის ცოლიც ჰყავდა და შვილიც – ალექსი, მაგრამ ოჯახური სიამტკბილობა არ ჰქონდა. აკაკიმ ვერ დაიყოლია მეუღლე საქართველოში გადმოსულიყო. იგი ალექსისთან ერთად ძირითადად რუსეთში ცხოვრობდა, დიდი მგოსანი კი მარტოხელა კაცის მძიმე ცხოვრებით სასტუმროებში, ნათესავებთან და ახლო მეგობრებთან ათენებდა და აღამებდა. რაც შეეხება მუდმივ სახელმწიფო თუ სხვა სახის სამსახურს, ამაზე აკაკიმ თავიდანვე კატეგორიული უარი თქვა იმ მოტივით, რომ ხელს შეუშლიდა თავისუფლად მიჰყოლოდა საკუთარი მრწამსის, გონებისა და გულის კარნახის აღსრულებას, ხელს შეუშლიდა შეენარჩუნებინა მოქმედების თავისუფლება. სწორედ ამას გულისხმობდა იაკობ გოგებაშვილი, როცა წერდა:

„აკაკის თავისი ცხოვრების გზაზე თურმე ბევრი მაცდური სირინოზი ხვდებოდა. ერთი მათგანი ჩინ-მედლებსა და უზრუნველ ცხოვრებას ჰპირდებოდა მგოსანს, ჰპირდებოდა დიდ წინსვლას ბიუროკრატიული კიბის მაღალ საფეხურზე, მეორე კიდევ ოქრო-ვერცხლის მთებს სთავაზობდა თუ მგოსანი კაპიტალისტთა ბანაკს შეუერთდებოდა. აკაკიმ ორთავეს ფიცხლავ ზურგი აბრუნა და მწუხარე, ფერმიხდილ სირინოზს მიუგდო ყური, რომელიც ჩასჩურჩულებდა: „მე ვარ მოციქული შენი პატარა, დაჩაგრული, გაღარიბებული, უკიდურესად შევიწროებული სამშობლოსი. თუ შენ საოცარ ნიჭს შესწირავ შენს უბედურ სამშობლოს, გზა ცხოვრებისა შენისა ეკლით იქნება სავსე: შენ არ მოგაკლდება არც შიმშილი, არც წყურვილი, არც სიტიტვლე და არც სხვაგვარი ტანჯვა-წვალება. მაგრამ სამაგიეროდ შენ დაიმსახურებ მთელი შენი ერის მხურვალე და უაღრეს სიყვარულს“. სწორედ ეს ეკლიანი გზა აირჩია აკაკიმ, შეუდრეკელი გულით გაჰყვა მას და სამშობლოს აყვავებას, აღდგენას, უანგაროდ და შეუსვენებლად ემსახურება.“

ცხოვრების ასეთივე გზას ადგა თავადაც. არც მან ათხოვა ყური მაცდურ სირინოზს და მწუხარე სირინოზის მიერ ნაჩვენებ ნარ-ეკლიან გზას გაჰყვა.

ღრმად ერუდირებული, შემოქმედი პედაგოგი შეუპოვრად შეებრძოლა სასწავლებელში გამეფებულ არაადამიანურ რეჟიმს. მან ახალი სიო შეიტანა სკოლის ცხოვრებაში, გამოაცოცხლა იგი. ამიტომ იყო, რომ აღიარებასთან და სიყვარულთან ერთად, არაერთი თავდასხმა ხვდა წილად. დაავადმყოფებულმა, სასწავლებლიდან უსამართლოდ დათხოვნილმა, აუტანელი მდგომარეობიდან, თავის დაღწევის მიზნით, თვითმკვლელობა გადაწყვიტა და მტკვრის ტალღებს მისცა თავი, მაგრამ საბედნიეროდ გადაარჩინეს. „ამიერიდან მთელი ჩემი სიცოცხლე, ძალა და ღონე ჩემს ქვეყანას უნდა მოვახმარო“, თქვა მან და ერთი წამით აღარ გადაუხვევია ამ მიზნისაგან. დედაენა, სამშობლო, მამულიშვილთა აღზრდა – ეს იყო მისი საფიქრალი და საზრუნავი. ამ მიზნით იყო მისი აზრი და გონება გართული. თავისი პირადი „მე“ თითქოს არ გააჩნდა იქედან გამოუცალკევებელი. მამულზე ზრუნვა იყო მისთვის ცოლ-შვილიც, ოჯახიც, გართობაც, პირადი ბედნიერებაც, სიმდიდრეც, სიღარიბეც. იგი დაკარგულად თვლიდა ყოველ წამსაც კი, რომელიც სამშობლოს კეთილდღეობისათვის არ ჰქონდა გამოყენებული.

ერის ბუმბერაზი შვილების – აკაკისა და იაკობის შემოქმედებითი თანამშრომლობა განსაკუთრებული შარავანდედით შემოსა უკვდავმა ქმნილებამ, ანაბანის სახელმძღვანელოების შედევრმა „დედა ენამ“. „დედა ენა“ არა მარტო წერა-კითხვის სწორუპოვარი სახელმძღვანელოა, არამედ ჩვენი ხალხური შემოქმედებისა და კლასიკური საბავშვო მწერლობის მარგალიტების ხელთუქმნელი საუნჯეც. გოგებაშვილი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს აგროვებდა და ხალხსავე უბრუნებდა თავისი სახელმძღვანელოებით. იგი ხვეწდა, ამუშავებდა და სრულყოფდა ხალხური პოეზიის ნიმუშებს და ისე შეჰქონდა „დედა ენასა“ და „ბუნების კარის“ ფურცლებზე.

ბავშვთა გულის მესაიდუმლე, ხელოვანი პედაგოგი, არა მარტო თავად ამოწმებდა და ალამაზებდა „დედა ენაში“ შესატან ყოველ სიტყვასა და გამოთქმას, არამედ სხვებსაც იშველიებდა. „ვთხოვე აკაკის ჩაეცმია მისთვის თავისებური პოეტური ტანისამოსი. მანაც დაუზარებლად ამისრულა თხოვნა. ზოგი ძლიერ შესცვალა, ზოგი უფრო ნაკლებად,“ – აღნიშნავდა იაკობი.

იგი ყოველთვის დიდი დამფასებელი და თაყვანისმცემელი იყო აკაკის უბადლო ღვთაებრივი ნიჭისა. დიდი პედაგოგი გრძნობდა აკაკის პოეზიას და მაღალი მთის გულიდან გამოვარდნილ ანკარა წყაროს ადარებდა, ხოლო თავად აკაკი საქართველოდ ჰყავდა წარმოდგენილი. „აკაკის მაღალი ბუნება იტევს თავის წიაღში არა ერთს კუთხეს ჩვენი სამშობლოისას, არამედ მთელს საქართველოს. აკაკი პატარა საქართველოა“. აღნიშნავდა დიდი ერისკაცი. როდესაც შენიშნავდა დინჯად მომავალ სასიქადულო მგოსანს, თვალებგაბრწყინებული წამოიძახებდა: „აგერ გამოჩნდა ქართველი ერის მშვენიერება, ქართული პოეზიის ფეხადგმული იალბუზი“.

ასე მაღალ შეფასებას აძლევდა იაკობი ბუმბერაზ მგოსანს, ამიტომაც დაუთმო დიდი ადგილი თავის სახელმძღვანელოებში პოეტის უკვდავ შედევრებს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ იაკობ გოგებაშვილი აკაკის არა მარტო დიდი მამულიშვილობის, მისი უმწიკვლო ღვაწლის და შემოქმედების თაყვანისმცემელი იყო, არამედ იგი დიდად ზრუნავდა პოეტის ჯანმრთელობაზე და სათანადო მატერიალურ დახმარებასაც უწევდა. სტატიაში „ნაციონალური საჩუქარი“ იაკობი წერს, რომ „ერთი ფრიად სამწუხარო მოვლენა დაჟინებით ითხოვს „ნაციონალური საჩუქრის“ შემოღებას საქართველოში. რამდენიმე დღის წინათ ავად გახდა მთავარი მამულიშვილი და დიდი პოეტი საქართველოისა აკაკი.

ავადმყოფობა უმთავრესად არის შედეგი უკიდურესის ნივთიერი გაჭირვებისა. ექიმების აზრით, ჩვენის მხცოვანის მგოსნის სრული მორჩენისათვის საჭიროა არამარტო სამაგალითო მოვლა, არამედ წყლებზე გაგზავნა. ეს კი მოითხოვს ბლომად ფულსა, რომელსაც სრულიად მოკლებულია აკაკი.“

იაკობი ყურადღებას ამახვილებდა ორ გარემოებაზე, რომელიც მისი აზრით კარგად უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს: „პირველი ისაა, რომ აკაკის პოეტური ნიჭი და სიძლიერე კალმისა დღემდინ იოტისოდენადაც არ შემცირებულა, თუმცა იგი სამოცდამეხუთე წელში გადადგა და არაერთს უკვდავ ქმნილებას აჩუქებს კიდევ თავის საყვარელ სამშობლოს, თუ სენსა და მოუსვენრობას თავითგან ავაშორებთ. მეორეც ისაა, რომ იმისთანა მაღალი და თავისებური ნიჭი, რომლითაც უხვად დაჯილდოვებულია აკაკი, თვით ევროპულ ერებშიაც ძალიან იშვიათი მოვლენაა და ვინ იცის, ეღირსება თუ არა ქართველებს მეორე აკაკი შემდეგ საქართველოში...“

ამ თანხის სასარგებლოდ იაკობმა ასი მანეთი გადადო და ვალდებულება აიღო ყოველ თვეში გადაეხადა თითო თუმანი. ხოლო ანდერძში შეიტანა – აკაკის ყოველ წელიწადს ასი მანეთი აძლიეთ იმ ლექსების ჰონორარად, რომლებიც ჩემს სახელმძღვანელოებში მაქვს მოთავსებულიო.

საყოველთაოდ ცნობილია იაკობ გოგებაშვილის უბრალოება და თავმდაბლობა. თავისი „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერების“ პირველი ტომის შესახებ აკაკის წერდა: „საზოგადოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ჩემს წიგნსაც არ მოეპოვება არც ერთი სიტყვა, არც ერთი ფრაზა, რომელიც ნათქვამი იყოს სახელის გულისთვის, ყოველ შემთხვევაში მე სახეში მქონდა და მაქვს სიკეთე ჩვენი ტანჯული ერისა და სხვა არაფერი. ეს შენც კარგად იცი და მინდა, რომ სხვებმაც შეიგნონ“. ხოლო როცა გაიგო, რომ განზრახული იყო მისი 35 წლის მოღვაწეობის აღნიშვნა, „ივერიაში“ (№95) უარი განაცხადა საიუბილეო საღამოზე. ჯერ იალბუზსა და მყინვარს ღირსეული იუბილეები გაუმართონ და მერე გაუწიონ თავაზიანობა სერებსაც, თუ არ დაუშლიათ. ცხადია, „მყინვარად“ ილიას გულისხმობდა, „იალბუზად“ – აკაკის.

თავად აკაკიც განსაკუთრებული ძმური სიყვარულითა და პატივისცემით იყო განმსჭვალული იაკობისადმი. 1894 წელს იაკობ გოგებაშვილი საგრამატიკო პოლემიკაში ჩაერთო. პოლემიკაში აკაკიმაც მიიღო მონაწილეობა. თუმცა მალე კამათს თავი მიანება, თქვა, მე იაკობ გოგებაშვილს მეტისმეტად დიდ პატივს ვცემ და არ მინდა ცხარე კამათით ჩრდილი მივაყენო ჩვენს დამოკიდებულებასო.

ერთ-ერთ წერილში დიდი პოეტი საყვარელ მეგობარს წერს: „ძმაო იაკობ, არის ხოლმე ისეთი გარემოებაც, როცა ადამიანი მადლობასაც ვეღარ ახერხებს. შენი მოსაკითხი სიცოცხლის წონათ მოვითვალე იმდენად დააკმაყოფილა ჩემი ზნეობრივი მხარე. მე ჩემს თავს დიდად აქამდისაც არ ვაფასებდი და ახლა ხომ სულ აღარ მეღირება ამ ავადმყოფობის გამო... პირადად ჩემთვის სულერთია დღეს აღარ ვიქნები თუ ხვალ, მაგრამ ის კი მწყინს, რომ როდესაც დავმწიფდი, ჩავჯექ გრძნობა-გონებაში, მაშინ უნდა შევიქმნე უძლური და ურგები ქვეყნისათვის...“

მეორე წერილში აკაკი იაკობს სთხოვდა, რომ ჩაბრძანებულიყო საჩხერეში. „წელს ორჯერ ჩამოველ ბორჯომში რამდენიმე დღით. რადგანაც გარემოება მეტ დროს არ მაძლევდა, რომ საკუთრად შენ მენახე, მაგრამ ხომ გაგიგონია; „უბედო კაცს ქვა აღმართში მიეწიაო“. ჩემი პირადი სიამოვნება, გინდ მცირეც იყოს, არა სწერია ბედის ვარსკვლავზე... ორჯერვე გულდაწყვეტილი დავბრუნდი და ახლა აქა ვარ ჩემს საჩხერეში, სადაც სამუდამო ბუნაგს ვიკეთებ, თუ დამცალდა. როგორც არის აქ უფრო ვუძლებ ჩემს სენსა და სატკივარს... გულს ვაყოლებ მუშაობას. დაღამდება თუ არა, რომ მოიცლიან მუშები მომისხდებიან ხოლმე გვერდითა და ცა და მიწა, მთა და ბარი გაერთიანებული გვაქვს, ვერ ვიტყვი, რომ მოწყენით ვიყო... უსიამოვნო სტუმრებისათვის სახლში არ ვარ ხოლმე, მაგრამ ხანდახან მომენატრება ხოლმე, როგორც მარტოხელას, ზოგიერთი ჩემი ნაცნობის ნახვა და მათ რიცხვში შენ ყველაზე უმალ, არ გეგონოს, რომ იმერულად გწერდე!.. აკაკაურადა გწერ, მხოლოდ გულის აყოლით. მაგრამ შენ აქეთ რა წამოგიტყუებს, ამ სიშორეს? თუმცა სურამსაცა და ბორჯომსაც სჯობია ჩემი საჩხერე!.. განსაკუთრებით, სადაც მე ვსახლობ, არც ქარი იცის, არც სიცხე და არც სიცივე, – თუ მივაღწიე გაისამდე, ეგება გაგაბედვინო, როგორმე რამდენიმე დღით ჩამოტყუება!.. იმედი კი არა მაქვს, მაგრამ მაინც თავს ვიტყუებ და გიმზადებ ოთახებს, სწორედ შენი გემოს საკადრისს... ერთი აქეთკენაც დაენახვე თვალით ჩვენებურ ბავშვებს. გუშინ ერთი პაწაწინა მეზობლის გოგონა მეკითხებოდა შენს შესახებ „ბელატია (მელოტია) თუ არა იაკობ გოგებაშვილი? შვილები თუ ჰყავსო? გაწყრომა იცისო? და სხვანი. ნეტავი მაჩვენაო და შენს პორტრეტს დავპირდი. დიდად გაიხარა... ამ წერილს გწერს შენი მარად ერთგული და მოსიყვარულე აკაკი“.

ასევე იაკობისადმი დიდი სიყვარულითაა გამთბარი აკაკის შემდეგი წერილი: „წარსულის შვილო, მომავლის მამავ და მყოფადის გადიავ, ძმაო იაკობ!.. ხანდახან რომ გამომელაპარაკები ხოლმე, გულს მიკეთებ, აი ახლაც შენმა წერილმა, თან მოყოლებულმა წიგნმა გულს გადამიყარეს მოწოლილი სევდა... გადავიკითხე, გადავათვალიერე, მუშტრის თვალით ავწონ დავწონე და შიგ ჭეშმარიტებისა და სიკარგის მეტი ვერა ვიპოვე რა. კურთხეული იყოს არა თუ მარტო შენი შრომა, ყოველი ნაბიჯის გადადგმაც კი“.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში მხარი მხარს იდგნენ აკაკი და იაკობი ქართული გონებრივი ცხოვრების ასპარეზზე. ქართველი ხალხის მოჭირნახულეებმა თავიანთი კალთით ატარეს ბედი და უბედობა, ტანჯვა და სიხარული ქართველი ერისა. ერთი ღმერთი სწამდათ და ერთი სამლოცველო ჰქონდათ – საქართველო, ერთს ეტრფოდნენ – სამშობლოს თავისუფლებას და ერთი სძაგდათ, თავგანწირვით ებრძოდნენ ქვეყნის მტერს და ორგულს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ამ ორი დიდი მამულიშვილის მიერ სიკვდილის წინ დაწერილი ანდერძი, რომელიც მათი ცხოვრების გვირგვინს და უდიდეს ჰუმანურ აქტს წარმოადგენს. ქველმოქმედების მსგავსი მაგალითი იშვიათად მოიძებნება გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებაში. სულმნათმა იაკობმა წ.კ.გ. საზოგადოებას დაუტოვა უძრავ-მოძრავი ქონება, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 100 000 მანეთს. დიდმა მგოსანმა აკაკი წერეთელმა კი მთელი თავისი მამული (100 დესეტინა მინა, ეზო), სახლი, რომელშიც თავად ცხოვრობდა და გამოცემული თუ გამოუცემელი ნაწარმოებები საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას უანდერძა.

იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებამ დიდად დაამწუხრა მხცოვანი მგოსანი აკაკი წერეთელი. მან შთამბეჭდავი გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა მშობლიური ქვეყნის დიდი მოამაგის, თავისი უერთგულესი მეგობრის საფლავთან: „ძმაო იაკობ!.. შენ წარსდგები პირნათლად ჩვენს სახელოვან წინაპართა წინაშე... და ამოუდგები მათ გვერდში საუკუნო განსვენებით. აქ კი იღაღადებენ შენი ნაშრომნი და დარჩება სამარადისოდ შენგან გადატკეპნილი გზა და ვინც ამ გზას არ გაივლის, ის არც ქართველად იხსენიება. კურთხეული იყოს სამარადისოდ ის წმინდა გზა და მასთან ერთად სახსენებელი შენი... ამინ“.

ასეთი გაუბზარავი, სპეტაკი სიყვარულის შარავანდედით იყო დამშვენებული ქართული კულტურის ამ ორი მოამაგის, აკაკისა და იაკობის ძმობა და მეგობრობა. ასევე მარადიულია მათი შემოქმედება და სამშობლოს წინაშე გაწეული ღვაწლი

აკაკი ზოიძე

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარე, დოქტორი

საგანმანათლებლო კერა

იყალთოს აკადემია

XI-XII საუკუნეები ქართული სახელმწიფოს აღმავლობის და გაძლიერების ხანაა. პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური აყვავების შედეგად ქვეყანაში დიდად დაწინაურდა კულტურის თითქმის ყველა დარგი, უპირველეს ყოვლისა, ქართული მეცნიერება.

საქართველოში მეცნიერება სახელმწიფო პოლიტიკის რანგამდე იყო აყვანილი. ქართველი მეფეები დიდ ყურადღებას უთმობდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო და მეცნიერული კერების შექმნას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ქვეყნის შიგნით ერთ-ერთი ასეთი კერა იყალთოს აკადემიაა.

კომპლექსი ისტორიულ წყაროებში IV საუკუნიდან მოიხსენიება. ამასვე ადასტურებს სოფელში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებიც. თავდაპირველად, მოსახლეობა დღევანდელი იყალთოს ზემოთ, მთის კალთებზე იყო დასახლებული, თუმცა, თანდათან, ქვემოთ დაიწყეს ჩასვლა. ახლა კი სოფლის ძირითადი ნაწილი თელავი-ახმეტის საავტომობილო გზის გარშემო ცხოვრობს.

იყალთო მდიდარია ისტორიულ-კულტურული ძეგლებით. დღემდე შემორჩენილია 70-ზე მეტი ეკლესიის ნაშთი, კომპლექსიდან მხოლოდ 3 ეკლესია და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობაა, მათ შორის აკადემიისა და სატრაპეზოს ნანგრევები. ეკლესიათაგან მთავარია VIII-IX საუკუნეების ფერისცვალების ეკლესია „ღვთაება“ (აგებულია იმ ძველი ეკლესიის ადგილას, რომელშიც დაკრძალული იყო ზენონი), სამების მცირე ეკლესია, რომელშიც საფუძვლიანი გადაკეთების მიუხედავად, შემორჩენილია VI საუკუნის გუმბათოვანი ეკლესიის ნაწილები და ყველაწმიდის ერთნავიანი ეკლესია, რომელიც XII-XIII საუკუნეების მიჯნას მიეკუთვნება. აკადემიის შენობა რიყის ქვით არის ნაშენი. პირველი სართული 2 ოთახისაგან შედგება, მეორე კი ერთი მთლიანი დარბაზია (24,5მx9მ) და, როგორც ჩანს, სამეცნიერო შეკრებათათვის იყო იმთავითვე განკუთვნილი, სტილით VIII-IX საუკუნეების ფეოდალურ სასახლეებს ენათესავება და აგებულიც მაშინ უნდა იყოს.

VI საუკუნეში 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთი, ზენონი იყალთოში ჩავიდა და იქ ეკლესიის მშენებლობა დაიწყო. დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში ზენონი აქვე მოღვაწეობდა და აქედან დამკვიდრდა მისი სახელიც – ზენონ იყალთოელი. შემდეგში, ზენონის მიერ აგებული ტაძრის ადგილას ღვთაების ეკლესია აშენდა, მოგვიანებით კი სამონასტრო კომპლექსი შეიქმნა, რომელშიც, ღვთაებასთან ერთად, მის გვერდით აშენებული ყველაწმინდის და სამების ეკლესიები გაერთიანდნენ. დღეს მონასტრის ეზოში, ტაძრების გარდა, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების, მათ შორის იყალთოს აკადემიის და სატრაპეზოს ნანგრევებიც არის შემორჩენილი.

სოფელში მრავალი ეკლესიის არსებობა მეტყველებს, რომ ამ ადგილას კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრი ყალიბდებოდა. იყალთოს აკადემია IX საუკუნეში დაარსდა, თუმცა არაბთა ხანგრძლივი ბატონობის შედეგად არსებობა შეუწყვეტია. XII საუკუნეში კი იყალთოში დავით აღმაშენებლის სახელმწიფო კარის მრჩეველი, სასულიერო მოღვაწე, ფილოსოფოსი, მწერალი, ჰიმნოგრაფი არსენ იყალთოელი ჩავიდა და აკადემიის აღდგენა დაიწყო. წარმოშობით იყალთოელი, გვარად მაყაშვილი იყო, წყაროებში ვაჩეს ძედ იხსენიება. მისი თაოსნობით, 1114-20 წლებში იყალთოს აკადემიას ფუნქცია დაუბრუნდა.

არსენ იყალთოელი აკადემიის პირველი რექტორი იყო. მან თარგმნა და ერთ კრებულში „დოგმატიკონი“ (ყველაზე სრული ნუსხაა S-1463, XII-XIII სს.) გააერთიანა ბიზანტიის მწერალთა ფილოსოფიურ-თეოლოგიური თხზულებები: ანასტას სინელის „წინამძღვარი“; იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“, მისივე რამდენიმე პოლემიკური ნაშრომი; თეოდორე აბუკარის პოლემიკური ეპისტოლენი; მიქაელ ფსელოსის „პირმშოსათვის“; კირილე ალექსანდრიელის, ნიკიტა სტითატის, ლეონ პაპის დოგმატურ-პოლემიკური თხზულებანი; არსენ იყალთოელმა თარგმნა აგრეთვე „დიდი სჯულისკანონი“, გიორგი ამარტოლის „ხრონოღრაფი“ და სხვ.

არსენ იყალთოელი თარგმანებს ურთავდა ფილოლოგიური და ფილოსოფიური თვალსაზრისით საინტერესო სქოლიოებს. აღსანიშნავია, რომ მას მოიხსენიებენ ანატომიის მცოდნედ – „ანატომიკოსად“ (ანტონ I, იოანე ბაგრატიონი). მასვე ეკუთვნის სასულიერო შინაარსის იამბიკოები, დავით აღმაშენებლის ეპიტაფია „ვინ ნაჭარმაგევს მეფენი“. არსენ იყალთოელს შეუდგენია ფიზიკის სახელმძღვანელო, რომლითაც ასწავლიდა გელათისა და იყალთოს აკადემიებში. ამ სახელმძღვანელოს იხსენიებს ანტონ I.

არსენ იყალთოელი შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზრის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მონაწილეობდა დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეულ კრებაში, რომელიც მიზნად ისახავდა რელიგიურ-დოგმატიკური საკითხების გადაწყვეტას. არსენ იყალთოელის პოზიცია ერეტიკოსების მიმართ შეურიგებელი და მკაცრი იყო. მისი თეორიული მეთოდი – დოგმატიკური. ფილოსოფიაში სქოლასტიკის, არისტოტელიზმის მიმდევარია. მისი მემკვიდრეობა ჯერ კიდევ არ არის მეცნიერულად გამოცემული. ზოგი მკვლევარი (თ. ჟორდანია, ზ. ჭიჭინაძე, ა. ხანანაშვილი, ი. ლოლაშვილი) არსენ იყალთოელს არსენ ბერთან აიგივებს.

აკადემიაში სწავლება ძირითადად ტრივიუმ-კვადრივიუმის ციკლის საგნებს ითვალისწინებდა, ანუ ღვთისმეტყველება, რიტორიკა, ასტრონომია, ფილოსოფია, გეოგრაფია, გეომეტრია, გალობა და ა.შ. ისწავლებოდა აგრეთვე მჭედლობა, კერამიკა („მეკეცეობა“) და მევენახეობა-მეღვინეობა. აკადემიის სიგრძე 73 მეტრია, აქედან 15,22მ საწნახელია. მას აქვს ძველი და ახალი ნაწილი, სულ ორი საწნახელი იყო და შემდგომში მიაშენეს მესამეც. ერთი ოთახის იატაკში თერთმეტი ქვევრია ჩაფლული, მეორე უფრო განიერი ოთახია.

ყველაზე მეტად შენობის ჩრდილოეთი ფასადია დაზიანებული, არქეოლოგიური გათხრების შედეგად იქ აღმოჩენილ იქნა ფირუზისფერი კრამიტები, ასეთი მხოლოდ ეკლესია-მონასტრებთან გვხვდება. იყო ასევე საჭურჭლე ქარხანაც, რომელიც მონასტრის გარეთაა. 1938 წელს შენობის გაწმენდის დროს აღმოაჩინეს ბუხარი, რომლის წინა ოთახი სამჭედლო ყოფილა.

სულ ახლახან კი, კომპანია „ჯეოსელის“ მიერ დაფინანსებული იყალთოს აკადემიის აღსადგენი პროექტის ფარგლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, მონასტრის ეზოში ზენონ და არსენ იყალთოელების სამარხებს მიაკვლიეს.

იყალთოს აკადემია საუკუნეების განმავლობაში ემსახურებოდა საქართველოში ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო მეცნიერებების აღორძინების საქმეს. მან არსებობა შაჰ-აბასის შემოსევის შემდეგ, 1616 წელს შეწყვიტა.

მოამზადა
ანა ფირცხალაიშვილმა



იუბილე

30-წლიანი ისტორია

ახალციხის ილია ჭავჭავაძის სახელობის №5 საჯარო სკოლის 30 წლისადმი მიძღვნილი იუბილე აღინიშნა. სტუმრებს შორის იყვნენ ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი, **მეუფე თეოდორე**, რაიონის ადგილობრივი ხელმძღვანელობა, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები, ქალაქის სკოლების დირექტორები და №5 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები.

მეუფის დალოცვის შემდეგ, ფოიეში ღონისძიება ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის წარმომადგენლებმა გახსნეს. მათ წარმოადგინეს პროგრამა ქართული ენის სიწმინდის შესახებ – „ენა, მამული, სარწმუნოება“; ისტორია-გეოგრაფიის კათედრის თემა სამცხე-ჯავახეთის ტურისტულ-რეკრეციულ რესურსებს ეხებოდა; ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის კათედრებმა ვირტუალურ ლაბორატორიებში ცდები ჩაატარეს.

ფიზიკის წრის წევრებმა „მაგნიტური თეატრი“ აჩვენეს. წარმოდგენილი იყო თემა – „ქართველი მეცნიერები დედამიწის გულში“, რომელიც ჟენევაში, მიწისქვეშა ლაბორატორიაში დიდი მასშტაბის ანდრონული კოლაიდერის ამოქმედებას ეხებოდა; რუსული ენის კათედრა სტუმრებს ნაციონალური პურით – „კარავაითა“ და მარილით შეხვდა; წარმოდგენილი იყო ინგლისური, გერმანული და თურქული ენის კათედრები. პარალელურად, მიმდინარეობდა სპორტული ღონისძიებები ფეხბურთში. გაიმართ „შეხვედრა წარსულთან“ – სკოლის ბიბლიოთეკაში ხანდაზმულმა პედაგოგებმა უბილე მიულოცეს და იქ გატარებული წლები გაიხსენეს.

ზეიმი სკოლის პირველ კორპუსში გაგრძელდა. სტუმრებს სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის „ლომსია“ ხელმძღვანელები – **სამსონ** და **ლია მენაბდიშვილები**, მოცეკვავეებთან ერთად, შეეგებნენ ცეკვით „ზეკარი“. სტუმრებს სიმღერებით შეხვდა ხელოვნების სტუდია, რომლის ხელმძღვანელია **მარინა ყურმაშვილი**, ხოლო მოსწავლეებმა ღონისძიება ლექსებითა და სიმღერებით გაამრავალფეროვნეს.

განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო შეხვედრა სკოლის კურსდამთავრებულებთან. მათ სკოლის დირექტორმა, **ჟენია მერაბიშვილმა** საიუბილეო თარიღი მიულოცა და სიმბოლური „გაკვეთილი“ ჩაუტარა. კურსდამთავრებულებმა სიყვარულით გაიხსენეს სკოლაში გატარებული წლები და სკოლას სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. საიუბილეოდ დამზადდა საპატიო დაფა, სადაც გამოფენილია წარჩინებულ კურსდამთავრებულთა ფოტოები, მათ შორის პირველი გახლავთ ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრის – **ვანო მერაბიშვილის** ფოტო, რომელიც №5 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულია.

სკოლას მისალოცი წერილები გადაეცა მეცნიერებისა და განათლების მინისტრ **დიმიტრი შაშკინისაგან**, გერმანიის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის, დოქტორ **ლერი დათაშვილისგან**, პარლამენტარების – **მიხეილ მაჭავარიანისა** და **გიორგი ასანიძისგან**, სამცხე-ჯავახეთის ყოფილი გუბერნატორის – **ნოდარ სარჯველაძისგან**, გადაცემა „ეტალონის“ წამყვან **გოჩა ტყეშელაშვილისგან** – ახალციხის №5 საჯარო სკოლას „ეტალონი სკოლის“ ტიტული, ხოლო სკოლის დირექტორს ჟენია მერაბიშვილს „ეტალონის დირექტორის“ ტიტული მიენიჭა.

ზეიმის დასასრულს სკოლის დირექტორმა დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ მიულოცა საიუბილეო თარიღი და სკოლას წინსვლა, წარმატება და უამრავი ახალგაზრდის აღზრდა უსურვა. მისი თხოვნით, მეუფე თეოდორემ მოსწავლე ახალგაზრდობა დალოცა.

თეა ზაზაშვილი
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

პედაგოგი, პოეტი, მკლევარი

ათეულ წელზე მეტია, რაც თემურ ჯულაყიძე სამტრედიის №4 საჯარო სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. მას მთელი რაიონი იცნობს, როგორც ნიჭიერ მასწავლებელსა და აღმზრდელს, საკუთარი საქმის ერთგულსა და კარგ მცოდნეს. ბატონი თემური პედაგოგის ოჯახში აღიზარდა და შეუძლებელი იყო, სხვა პროფესია აერჩია.

თემურ მასწავლებელს, როგორც მას სკოლაში ვეძახით, მთელ საქართველოში იცნობენ, როგორც მწერალსა და თავისებური სტილის მქონე პოეტს. 2005 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია. გამოცემული აქვს: რამდენიმე რომანი (ჩვენთვის ყველაზე საინტერესო – „წუთისოფლიდან უფლის გზამდე“), ლექსების კრებულები და სამეცნიერო ნაშრომები, მათ შორის „ზეკარ-ხანისა და საკრაულა-ნაბლარას ხეობათა მიკროტოპონიმია“. ნაშრომი გამოიცა აკადემიკოს ალექსანდრე ღლონტის რედაქტორობით. არანაკლებ საინტერესოა წიგნი „საქართველოს სიცოცხლისთვის“, რომელიც აკადემიკოს რევაზ მიშველაძის რედაქტორობით გამოვიდა.

ახლახან გამოსცა წიგნი „ქრისტეს რჩეული მხედრები“, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ მეომრებს ეძღვნება.

მე თემურ ჯულაყიძის წიგნების ერთ-ერთი მკითხველი ვარ. მინდა გითხრათ, რომ მეამაყება ჩემი პედაგოგის ნაღვაწი. მიყვარს მისი ლექსები, განსაკუთრებით კი ეს სტრიქონები:

„საქართველო არის ჩემთვის
ღვთის ტაძარი,
მიწის უკვდავება,
ზეცის მომავალი,
მარადიულია შენი სიყვარული,
სხვა კი ყველაფერი
ჩემთვის წარმავალი.“

50 წლის შესრულებას გილოცავთ თემურ მასწავლებელო, აგსრულებოდეთ ნატვრა:

„გელათს ისმის გალობანი
სინანულის,
შენი სახე ახლაც მიდგას
თვალწინ,
შეაფხიზლე საქართველო
განაბული,
საქართველოვ, დავითის
გზით გასწი!“

მზია დუნდუა
სამტრედიის №4 საჯარო სკოლის მოსწავლე

სპორტი

* * *

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში უკვე გაცნობეთ დედაქალაქის 49-ე საჯარო სკოლის მეშვიდეკლასელ **ანა ოდიშვილის** წარმატებაზე – ფრანგულ მეცში მიმდინარე ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე 11-12-წლიანებში გაიმარჯვა. შარშან მან ამავე რანგის ტურნირზე ბრინჯაო მოიპოვა, წლეულს კი ორმოცდაშვიდ მეტოქეს აჯობა და - 8,5 ტექნიკური შეფასება მიიღო, 35 ქულა დააგროვა და მაყურებელმა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე აპლოდისმენტებით ააცილა. მან სპეციალისტთა დიდი მოწონებაც დაიმსახურა და ჩვენს სახელოვან ბატუტისტს, მსოფლიოს ჩემპიონ **რუსუდან ხოფერიასაც** შეადარეს.

ანა ოდიშვილს მეცში კიდევ ერთი მედლის მოპოვება შეეძლო – იმ წარმატებიდან ორიოდ დღეში თანაკლასელ **თეონა ჯანჯღავასთან** ერთად ძალები წყვილთა შორისაც მოსინჯა, ოღონდ ამჯერად 13-14-წლიანებში. შეჯიბრება მშვენივრად დაიწყეს – საკვალიფიკაციო ეტაპი მესამე ადგილზე დაამთავრეს და მხოლოდ იაპონელებს ჩამორჩებოდნენ. ფინალშიც კარგად ჩაებნენ ასპარეზობაში – მეხუთე ცდამდე უდანაკარგოდ მიდიოდნენ, იქ კი სინქრონულობა დაერღვათ და ქულები დააკლდათ. საბოლოოდ მეხუთეზე გავიდნენ, თუმცა ურიგო შედეგი არც ესაა. ჯანჯღავამ ამ ასაკში ერთეულებშიც იასპარეზა, მაგრამ ფინალამდე ცოტა დააკლდა და მე-12-ზე დარჩა.

მეცში ასაკობრივ პირველობებში სხვა ქართველებიც გამოვიდნენ და არცთუ წარუმატებლად – თითქმის ყველა მათგანი ფინალში გავიდა. 17-18-წლიანებში მეექვსე იყო თბილისის 143-ე სკოლელი **თამარ კაკაშვილი**, ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი პირველობის მესამე პრიზიორი. მან ამავე ასაკში სინქრონულ ხტომებში 183-ე სკოლელ **ნანა გოგაშვილთან** ერთად იხტუნავა და იქაც ფინალში შევიდა, საბოლოოდ კი მერვეზე დარჩა. აღსანიშნავია, რომ გოგაშვილი ჯერ მხოლოდ 15 წლისაა და თავის ასაკში პირადში გამოვიდა, მაგრამ წარუმატებლად.

ოდიშვილის მედალი ჩვენი ნაკრების ერთადერთი ჯილდო აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ვერც უფროსთა ტურნირში მოასპარეზე ახალგაზრდა **ლუბა გოლოვინამ** გაგვახარა – ფინალში კი გავიდა, მაგრამ ტექნიკური შეცდომა დაუშვა და მერვეზე დარჩა. ოდიშვილმა ამ მედლით საქართველო გუნდურ ჩათვლაში მე-11 ადგილზე გაიყვანა, მედლები კი სულ 18 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

* * *

ქუთაისის სპორტის სასახლემ სახელოვან მწვრთნელთა – ზაურ შეყრილაძისა და მურად დოხტურაშვილის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირებს უმასპინძლა თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა შორის. მასში 1994-96 წლებში დაბადებული მოზარდები გამოდიოდნენ, უცხოელთაგან კი სომხეთის ნაკრები მონაწილეობდა. მთლიანობაში ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი გამოდგა – 210 ფალავანი მონაწილეობდა. ცხადია, მასპინძლები რაოდენობრივად საგრძნობლად აღემატებოდნენ სტუმრებს და მოხდა ისე, რომ 14-ვე წონით კატეგორიაშიც მათ გაიმარჯვეს, სომხები კი რამდენიმე ვერცხლ-ბრინჯაოს დასჯერდნენ. ჩემპიონები გახდნენ: სამტრედიელები – **კობა გოგიბერიძე** (26), **შმაგი თოდუა** (35), **გიორგი ლეჟავა** (42) და **გრიგოლ ფანცულაია** (100), ამბროლაურელი **გიორგი ცხვირავაშვილი** (29), საჩხერელი **ბექა ლომიძე** (32), ქუთაისელები – **გიორგი სულავა** (38), **გიორგი ბრეგაძე** (50), **ომარ გურჯიძე** 63) და **გიორგი ჟორჟოლიანი** (69), ქარელელები – **მაჰმუდ ალი ოღლი** (46) და **რაუფ შაკულ ოღლი** (58), ქედელი **შოთა ფარტენაძე** (54) და ზუგდიდელი **დავით ესართია** (76).

* * *

დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკ მორაგბეთა B ლიგაში. შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი ორ – დასავლეთისა და აღმოსავლეთის ზონებად დაყოფილი ტარდება, საიდანაც პლეი ოფში 9 გუნდი გავიდა. უკვე გაცნობეთ, რომ დრამატულად ჩავლილი ნახევარფინალების შემდეგ ოქროს მედლისთვის ბრძოლის უფლება თბილისურმა კლუბებმა – „ჯიქებმა“ და „აკადემიამ“ მოიპოვეს, ბრინჯაოსთვის კი თბილისურ-ქუთაისური წყვილი – „ლელო“ და „ქუთაისი“ ითამაშებდა.

ორივე თამაში დედაქალაქში, „ვისოლის“ ახალ სარაგბო მოედანზე ჩატარდა და ფრიად დაძაბულიც გამოდგა. ფინალში „აკადემიამ“ შეძლო კონკურენტის დამარცხება – 22:18 და ოქროს მედლებს დაეუფლა. ამაზე უფრო დრამატული და დაძაბული გამოდგა შეხვედრა ბრინჯაოსთვის, სადაც თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა და მოგებას ორივე გუნდი იმსახურებდა, მაგრამ საბოლოოდ ცოტათი უფრო იღბლიანები და ყოჩაღები ლელოელები აღმოჩნდნენ და 14:12 იმარჯვეს.

ირაკლი თავაძე

ინფორმაცია

* * *

ბროშურა „ინკლუზიური განათლება – განსაკუთრებული ბავშვების განსაკუთრებული ავტოპორტრეტები“ 198-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების ჩანაწერების, ლექსებისა და პატარა მოთხრობების მცირე კრებულია, რომლის პრეზენტაციასაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** დაესწრო. ბროშურა მოამზადა და გამოსცა სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა ბრიტანეთის საბჭოსთან (British Council) თანამშრომლობით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა შემოქმედებითი კრებული პირველად გამოვიდა საქართველოში, დიმიტრი შაშკინმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უწოდა ამ ფაქტს და აღნიშნა, რომ ახლო წარსულში ტაბუდადებული – „აუტისტური სპექტრის მქონე“ მოსწავლეთა შემოქმედების გაცნობა საზოგადოებას დაეხმარება ჩაწვდნენ ამ ბავშვების შინაგან სამყაროს, გაიგონ რა აწუხებთ, რას განიცდიან, რა ინტერესები და შესაძლებლობები აქვთ მათ.

ღონისძიების მესიჯი იყო: „დაინახე ზღაპარი, რომელიც ჩემშია და რომელსაც ვატარებ!“. ბავშვებმა თავისი სათქმელი წერით გადმოსცეს, ვინაიდან მათ მეტყველებისა და სოციალური კომუნიკაციის პრობლემები აქვთ.

თბილისის 198-ე საჯარო სკოლაში 150 მოსწავლე სწავლობს, მათგან მხოლოდ 10%-ია სოციალურად დაუცველი, დანარჩენი 90% კი სპეციალური საჭიროების მქონეა, უმრავლესობას მეტყველების, მოტორიკის, ემოციური თუ სოციალური კომუნიკაციის პრობლემები ან ფუნქციათა შეზღუდვების მთელი კომპლექსი აწუხებთ, უჭირთ ფიზიკური თუ ფსიქიკური სტაბილობის დაცვა, ურთიერთობა უფროსებთან თუ თანატოლებთან. აქედან გამომდინარე, სკოლის მულტიდისციპლინარულ გუნდს შემუშავებული აქვს თითოეულ მოსწავლეზე მორგებული განვითარების ინდივიდუალური სწავლების გეგმა. სისტემატიურად ტარდება მონიტორინგი გეგმის შესრულებისა და შედეგების შესაფასებლად.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებზე ზრუნვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტია და ამ მიმართულებით მუშაობას იგი მომავალშიც გააგრძელებს.

* * *

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა კურსდამთავრებულთა მეთხუთმეტე ნაკადი გამოუშვა. წელს მაგისტრის დიპლომი 146 კურსდამთავრებულს შვიდ სხვადასხვა სპეციალობაში გადაეცა, ესენია: სახელმწიფო მმართველობა, საჯარო პოლიტიკა, თვითმმართველობა და ადგილობრივი მმართველობა, მედია და კომუნიკაციის მენეჯმენტი, ჟურნალისტიკა და მედიამენეჯმენტი, საერთაშორისო პოლიტიკა და საერთაშორისო სამართალი.

კურსდამთვარებულთა საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ნოდარ სურგულაძე**, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, ბატონი **ჯონ ბასი**, საელჩოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები დაესწრნენ. მოწვეულ სტუმრებს შორის GIPA-ს კურსდამთავრებულებიც იყვნენ.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, 1994 წელს, საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობების სპეციალური შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა. ინსტიტუტის საქმიანობის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბებას ახალგაზრდა თაობის აღზრდის გზით.

* * *

წარმატებით მიმდინარეობს პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში ჩამოსულ, უცხოელ მოხალისე პედაგოგთა ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაცია. საგაკვეთილო პროცესის წარმართვის პარალელურად, ისინი გეგმავენ და ახორციელებენ ერთობლივ შემეცნებით-გასართობ ღონისძიებებს მოსწავლეებისა და პედაგოგების მონაწილეობით.

მარტვილის №1 საჯარო სკოლის მოხალისე მასწავლებლის **იან ჰანსენის** ინიციატივით, მარტვილში საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ამერიკელი პედაგოგები ჩამოვიდნენ და რაიონულ სტადიონზე ფეხბურთში ამხანაგური შეხვედრა გამართეს. უცხოელმა პედაგოგებმა მატჩი მადლიერების დღეს მიუძღვნეს – დღესასწაულს, რომელსაც უმეტესად შეერთებულ შტატებსა და კანადაში აღნიშნავენ. ტრადიციულად, მას ზეიმობენ მოსავლის აღების შემდეგ და იგი საერო დღესასწაულად ითვლება.

ქართველი მოსწავლეები დიდი მონდომებით ელოდნენ ამ დღეს. მათ ჰქონდათ ინფორმაცია მადლიერების დღესთან დაკავშირებით, ასევე სურდათ სხვა მოხალისე პედაგოგების გაცნობა და მათთან ერთად ამერიკული ფეხბურთის თამაში. ამ დღეს გაჩნდა იდეა, მომავალში ფეხბურთში შეეჯიბრონ იმ სკოლის მოსწავლეებს, რომელთაც ეს პედაგოგები ასწავლიან, ამ ურთიერთობებით კიდევ უფრო სრულყონ თავიანთი ინგლისური, ახლოს გაიცნონ პედაგოგთა ქვეყნების ტრადიციები.

იან ჰანსენისა და მარტვილში მყოფი მეორე მოხალისე მასწავლებლის **მაქსველ ვენსნაიდერის** ინიციატივით, მარტვილის №1 და ბანძის საჯარო სკოლების მოსწავლეებსა და მოხალისე პედაგოგებს შორის 18 ნოემბერსაც გაიმართა ამხანაგური მატჩი კალათბურთში. შეხვედრას აღნიშნული სკოლების მოსწავლეები და პედაგოგები ესწრებოდნენ. მატჩი ხალისიანად ჩატარდა, უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს მასწავლებლები და ბავშვები, გაღრმავდა სკოლებს შორის ურთიერთობაც.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაული მე-200 საჯარო სკოლის 100-მდე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს პირადად მიულოცა და საჩუქრები გადასცა. მინისტრთან ერთად მოსწავლეებს მსახიობი **დუტა სხირტლაძე** და პოპულარული გადაცემის „ვანოს შოუ“ წამყვანი **ვანო ჯავახიშვილი** ესტუმრნენ. სტუმრებს ბავშვებმა თავიანთი ხელნაკეთი ნივთები დაათვალიერებინეს და რამდენიმე საკონცერტო ნომერი წარმოუდგინეს.

რვა წლის **ბექა ბანძელაძეს**, რომელიც აუტიზმითაა დაავადებული, დიმიტრი შაშკინმა დიდი ხნის სურვილი აუსრულა – ბავშვს დუტა სხირტლაძესთან შეხვედრა სურდა, მან ამ სურვილის შესახებ თავის მოთხრობაშიც დაწერა.

„მე ბედნიერი ვარ, რომ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს საშუალება მომეცა ამ ბავშვებთან მოვსულიყავი და პირადად მიმელოცა მათთვის. ინკლუზიური განათლება ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. მთავარია, ამ ბავშვებმა თავი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იგრძნონ“ – აღნიშნა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა.

მე-200 სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 137 მოსწავლე სწავლობს, მათგან 110 პანსიონური მომსახურებით სარგებლობს. დიდი უმრავლესობა არდადეგების დღეებსაც სკოლა-პანსიონში ატარებს. სკოლაში სწავლობენ ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური პრობლემების მქონე ბავშვები.

მე-200 საჯარო სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი განაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობისთვის, პედაგოგები ინდივიდუალური სასწავლო გეგმითა და მათი სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართვის გზით, თვითმოვლასა და გარემოში ორიენტირებას ასწავლიან. ამ სკოლის პედაგოგები ხელს უწყობენ ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციას.

* * *

18-20 ნოემბერს საქართველოში ჩატარდა საერთაშორისო სემინარი თემაზე „მასწავლებელთა მუდმივი პროფესიული განვითარება და კავშირი კარიერულ ზრდასთან“. სემინარის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ:

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ევროპულ მოდელებს;
- მასწავლებლის, მენტორისა და მაძიებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პროცესს;
- ქართველი და უცხოელი კოლეგებისთვის გაეზიარებინათ ცოდნა და გამოცდილება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

მათ შესაძლებლობა მიეცათ, მონაწილეობა მიიღონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის დანერგვის სტრატეგიის შემუშავებაში.

საერთაშორისო სემინარს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** დაესწრო. „განათლების სისტემის წარმატება მთლიანად მასწავლებლის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მსაწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.“

სემინარი საერთაშორისო პროგრამის „პესტალოცის“ ფარგლებში ტარდება. პროგრამა „პესტალოცი“ განათლების პროფესიონალთა ტრენინგების პროგრამას წარმოადგენს, რომელსაც ევროსაბჭო ევროპის კულტურის კონვენციის ფარგლებში ახორციელებს.

პროგრამის მიხედვით მასწავლებლებსა და განათლების სექტორის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ეძლევათ, მონაწილეობა მიიღონ პროგრამა „პესტალოცის“ ფარგლებში ორგანიზებულ სემინარებში, რომლებიც მონაწილეებს საგანმანათლებლო ინიციატივებში ევროსაბჭოს სამუშაო და ინტერკულტურული გამოცდილების, კოლეგებთან ინფორმაციის, მასალებისა და ინოვაციური პრაქტიკის გაზიარებას სთავაზობთ.

შესაბამისად, სემინარების თემატიკაც ევროსაბჭოს პრიორიტეტული პროექტების მიხედვით განისაზღვრება. ეს პრიორიტეტებია: განათლების როლი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში და ადამიანთა უფლებები; ინტერკულტურული დიალოგი და კონფლიქტების გადაწყვეტა; გენდერული თანასწორობა სკოლის გარემოში და ა.შ.

საქართველო პროგრამა „პესტალოცში“ 2009 წლიდან ჩაერთო. 2009-2010 წლის განმავლობაში „პესტალოცის“ პროგრამის ფარგლებში ორგანიზებულ სხვადასხვა სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 27-მა ქართველმა პედაგოგმა, პედაგოგთა ტრენერმა და განათლების ექსპერტმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან.

საქართველოს ისტორიის გაკვეთილი გორგასლის სატახტო ციხე-ქალაქში

მოზარდთა პატრიოტული აღზრდის მიზნით უამრავი ღონისძიება იმართება ქ. საგარეჯოში, შპს „თამარ გარეჯელის“ ეროვნულ კერძო სკოლაში. აქ მოსწავლე თუ მასწავლებელი სამშობლოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს პატივს სცემს.

სკოლის დირექტორის, ქალბატონ **თამარ საგინაშვილის** ინიციატივით, გადაწყდა უფროსკლასელებისათვის საქართველოს ისტორიის გაკვეთილი უჯარმაში, ვახტანგ გორგასლის ყოფილ სატახტო ციხე-ქალაქში ჩატარებულიყო.

უდიდესი მღელვარებითა და დიდი ინტერესით ელოდნენ მოსწავლე-მასწავლებლები საკუთარი თვალით ენახათ ქართლის უდიდესი მეფის, სპარსელთა რისხვის, ვახტანგ გორგასლის ყოფილი სატახტო ციხე-ქალაქი.

მდინარე ივრის მარჯვენა ნაპირას აღმართული მაღალი კლდოვანი ბორცვი, რომელზეც არქიტექტურული კომპლექსია განთავსებული, სულ სირბილ-სირბილით აიარეს მოსწავლეებმა და მასწავლებლებთან ერთად დაათვალიერეს ისტორიული ადგილის თითოეული გოჯი მიწა და მასზე აშენებული უდიდესი ნაგებობა.

„მდიდარი ისტორია აქვს უჯარმის ციხეს, – უყვება ნანახით აღფრთოვანებულ მოსწავლეებს ისტორიის მასწავლებელი ***ნინო გულისაშვილი,*** *– III საუკუნის დასასრულსა და IV საუკუნის დასაწყისში „შემდგომად მირდატისა მეფობდა ძე მისი ასფარუგ და აღაშენნა ციხე ქალაქი უჯარმა“ („ქართლის ცხოვრება“). ქართლის გაქრისტიანების დროს, IV საუკუნეში უჯარმა უკვე ქალაქია, რევის მეფობის დროს – მცხეთის გვერდით იხსენიება. „მირიან მეფემ მისცა ძესა მისსა, რევს, საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი და დასუა იგი უჯარმას, რევ და ცოლი მისი სალომე ასული თრდატისი და ცხოვნდებოდეს იგინი უჯარმას“.*

მემატიანის ჩანაწერების მიხედვით, ქართლი გაქრისტიანდა თუ არა, *„მაშინ უბრძანა ნეტარმან: ნინო წარიხვენით ორნი ჯვარნი და ერთი მიეც სალომეს, მხევალსა ქრისტესსა და აღმართოს უჯარმას ქალაქსა.“* ჩვიდმეტი საუკუნეა, ამ ადგილს ჯვარპატიოსანი ჰქვია. უამრავი დამპყრობლის ხმალი მოხვედრია ამ კედლებს.

V საუკუნეში *„თუით ვახტანგ დაჯდა უჯარმას და აღაშენნა იგი ნაშენებითა უზომოთა“* („ცხოვრება მეფეთა“). სწორედ გორგასლის მიერ აშენებული ციხე-ქალაქის არქიტექტურული კომპლექსია შემორჩენილი ამჟამად, რომელიც 1500 წელზე მეტია დგას, როგორც ცოცხალი მოწმე „ქართლის ცხოვრებისა“.

სკოლის მოსწავლეებიც ჩაერთნენ საგაკვეთილო პროცესში და გაიხსენეს ისტორიიდან, რომ აქ გიორგი III ინახავდა საგანძურს, რომ ამ ციხეს X საუკუნეში, 914 წელს, არაბმა აბულ-კასიმმა უდიდესი დარტყმა მიაყენა და ივრის ხეობაში ცოცხალი აღარავინ დატოვა. ამ ტერიტორიაზე ერეკლე II *„უხვდებოდა მტერს....*

უჯარმის ბოლოს შეიბნენ,
შეიძრა მთა და ბარია,
თოფი სჭექს, ზარბაზანი ჰქუხს,
სისხლისა მიდის ღვარია.“

(ხალხური)

ისტორიის გაკვეთილს ლიტერატურისა მოჰყვა და მოსწავლეები სათითაოდ კითხულობენ უჯარმის ციხისადმი მიძღვნილ ლექსებს ქართული პოეზიიდან თუ ფოლკლორიდან. თანასკოლელებს გიორგი ლეონიძის ლექსი „უჯარმის ნანგრევები“ წაუკითხა მერვეკლასელმა **გიორგი მახარაძემ**, ამონარიდები მუხრან მაჭავარიანის პოემიდან „ვახტანგი“ – მეცხრეკლასელმა **ნათია ბუზარიაშვილმა**, გარეჯელი პოეტის ნუგზარ ჭანტურიას ლექსი „უჯარმის ციხის ნათქვამი“ – მერვეკლასელმა **გია მთავრიშვილმა**, ნოდარ დიღმელაშვილის „ლხინი უჯარმის ციხესთან“ და „უჯარმა“ – მეათეკლასელმა **მარიამ ბასლიკაშვილმა**, მეშვიდეკლასელმა **გიორგი ლომსიანიძემ** კი მოსწავლეებს ხალხური პოეზიის ის ნიმუშები წაუკითხა, რომლებიც აქ გადამხდარი ბრძოლებით შეძრწუნებულსა და აღტაცებულ ქართველ კაცს შეუქმნია.

მოსწავლე-მასწავლებლებმა უჯარმის ციხე-სიმაგრის კარის ეკლესიაში სანთლები დაანთეს დამთვალიერებლებმა, ღმერთს შეავედრეს ამ ტერიტორიაზე დალეწილ რაინდთა და *„სიმაღლით 12 ბრჭალი“* მეფის სულები. აღფრთოვანებულნი იყვნენ საიდუმლო გვირაბების, ყოფილი მარნის, ქვევრების ნახვით. ყველა გაოცდა გალავნის კედლის სისქის გამო.

ნათია ივანელაშვილი, მეხუთეკლასელი: *„იცით, წუხელ სიხარულით არ მეძინა, მიხაროდა, დღეს უჯარმის ციხე რომ უნდა მენახა და ფეხი იმ მიწაზე დამედგა, სადაც გოლიათი მეფე დადიოდა. უკვე ვისწავლეთ ხალხური ლექსი „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა...“ და ბედნიერი ვარ აქ ყოფნის გამო“.*

საღამო ხანს ივრის ხეობაში ნისლი ჩამოწვა, წითელ-ყვითელი ფოთლები შარიშურით ეფინებოდა წინაპართა სისხლით გაჟღენთილ მიწას და ნოდარ დიღმელაშვილის ლექსი გაგვახსენდა:

„მიმწუხრის ჟამს მაყვლიანში
შაშვი შავი ფრთოსანი
ლოცულობს და ლოცვას ისმენს
ჯვარი პატიოსანი.“

30 ნოემბერი (ძველი სტილით – 13 დეკემბერი) ვახტანგ გორგასლის ხსენების დღეა.

ლეილა არჩემაშვილი
თედო ნიკოლაიშვილის *ფოტოები*

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.
რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.